# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 სექტემბერი 2006 №217 (2839) ფასი 50 თეთრი


## მეოთხე სამოციანელი: ისე არ არის, როგორც ტოპმიოლერს ჰგონია



6 სექტემბერს უკრაინასთან შოთა არველაძემ მესამოცე მატჩი ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და საქართველოს ეროვნული გუნდის მეოთხე სამოციანელი გახდა — გიორგი ნემსაძემ 69 მატჩი ჩაატარა ნაკრებში, ლევან კობიაშვილმა 65, გოჩა ჯამარაულმა კი 62. შოთას ნაკრებში ყველაზე მეტი, 25 გოლი აქვს გატანილი და ერთადერთია, ვისაც შვიდივე შესარჩევ ციკლში უთამაშია. არველაძე 33 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში პირველად 19 წლისამ ითამაშა, პირველი სანაკრებო გოლიც 1992 წელს გაიტანა აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში — ამ ასაკში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გოლები მის გარდა მხოლოდ ალექსანდრე იაშვილს, გოგა გახოკიძეს და ჯაბა კანკავას გაუტანიათ, მათზე უმცროსს კი არავის. „იუბილარ“ შოთა არველაძეს გუშინ გავესაუბრეთ და ამ ინტერვიუს მეორე გვერდზე იხილავთ, აქ კი მის ერთ, ჩვენი აზრით, ნიშანდობლივ და საგულისხმო მოსაზრებას გაგაცნობთ:

*„ვფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერს ჯერ ბოლომდე არ შეუსწავლია ნაკრების ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობები. ნაკრებში არის რამდენიმე მოთამაშე, რომელთაც სხვებზე ბევრად მეტი საფეხბურთო ცოდნა გააჩნიათ. ადრე ასეთი დიდი განსხვავება არ იყო, მაგრამ ბოლო ხუთი წელია, ასეა და ეს ძალიან გვეტყობა. ტოპმიოლერს კი ჰგონია, რომ მისი ახსნილი ნაკრების ყველა ფეხბურთელს ესმის და რომ ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელს სამისოდ მყარი საფუძველი აქვს. ტოპმიოლერმა ძალიან მალე შეატყო, ქართველებს შემტევი ფეხბურთის თამაში რომ შეგვიძლია და ყველანაირად შეეცადა, ეს პეწი, ეს მარილი არ მოეკლო ნაკრებისთვის. მაგრამ მერე ასევე მალე მიხვდა, რომ შეტევაზე მეტად უკანა ხაზშია საქმე საკეთებელი და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო უკრაინასთან მატჩისთვის. როცა მწვრთნელი შეცდომას დროულად ასწორებს, ეს მის კლასზე მიუთითებს.“*





## გერმანიამ საქართველო დააფასა და შეაფასა

გერმანია — საქართველოს 7 ოქტომბრის ამხანაგური მატჩის ბილეთები 15-დან 50 ევრომდე ღირება. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გუშინწინ გამოაცხადა ბილეთების ფასები და, როგორც იტყობინება, გუშინ უკვე ორი ათასი ბილეთის შეკვეთა მიიღო. მატჩი, მოგეხსენებათ, როსტოკის 30-ათასიან „ოსტსეეშტადიონზე“ შედგება და ვარაუდობენ, რომ ანშლაგი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია ZDF-ს გერმანია — საქართველოს პირდაპირი რეპორტაჟი აქვს დაგეგ[illegible]ლი, მატჩზე დასწრების მსურველი უკვე დღეს საკმაოდ ბევრია. ეს ი[illegible]ტერესი კი ბუნებრივია — საქართველოსთან მატჩი გერმანიისთვის წლეულს ბოლო იქნება შინ, მომდევნო შეხვედრა იოახიმ ლიოვის შეგი[illegible]დებს გაისად ივნისში აქვთ. ამას გარდა კი, მასპინძელთა ინტერესი მეტოქის მწვრთნელითაც არის განპირობებული — კლაუს ტოპმიოლერი ხომ გერმანიაში საკმაოდ ავტორიტეტული სპეციალისტია.

გერმანიასთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრები როსტოკში 3 ოქტომბერს შეიკრიბება, თამაშის მეორე დღეს, 8 ოქტომბერს თბილისში დაბრუნდება და იტალიასთან 11 ოქტომბრის მატჩისთვის მზადებას აქ განაგრძობს.

როსტოკული მატჩი ჩვენი დროით 22 საათზე დაიწყება.

**ბოგა ინასარიძე**

## სისხლი ტატამზე, სიხარული გულებში

### კედელაშვილმა პარიზული კედელი თავით გაანგრია



... ენით ვერ აღვწერ იმ ემოციებს, საფრანგეთში რომ განვიცადეთ. ბიჭები ერთმანეთს ვაკავებდით, ტატამზე რომ არ შევვარდნილიყავით. ამ დროს ხანჯალიაშვილმა იპონით მოიგო და მთლად გაგვაგიჟა ...

... ვერც გავიგე, თავი გატეხილი რომ მქონდა. შემთხვევით შევნიშნე, ტატამზე სისხლი რომ წვეთავდა. მაშინვე შემიხვია ზურაბ კახაბრიშვილმა, მაგრამ უეცრად მთლიანად მოვეშვი, საოცარ სისუსტეს ვგრძნობდი. ზურა ყოველ ნახევარ საათში თავიდან მიკეთებდა გადახვევას და ყოველი ბრძოლის შემდეგ გული მერეოდა, ჭიდაობისას კი ინერციით ვმოძრაობდი. ხელებს და ფეხებს ნორმალურად ვერც ვაკონტროლებდი და ჩემიანების შეძახილებიც სხვანაირად მესმოდა ...


**ინტერვიუ ზაზა კედელაშვილთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე**





ბაჩო კილასონიას ფოტო

# მთავარმეგოლე სამოცს გადააბიჯა

საქართველოს ნაკრებს ჯერჯერობით ისეთი ისტორია აქვს, ალბათ უხერხულიც კი არის იმაზე მსჯელობა, ვინ არის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი. რა თქმა უნდა, ნაკრებში ჩატარებული მატჩების და გოლების რაოდენობა ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ საქართველოს ნაკრები არის გუნდი, რომელმაც დღიდან დაარსებისა ითამაშა ოდენ 115 შეხვედრა, მოიგო 35, წააგო 61 და ფრედ დაასრულა 19

## შოთა არველაძე: საფრანგეთთან მაინც გამარჯვებული ვიყავი

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებში ბევრ ფეხბურთელს უთამაშია, მაგრამ გუნდი ყოველთვის ღარიბი იყო მაღალი კლასის ფეხბურთელებით. თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული — პირველ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს მართლაც ჰყავდა ხუთი მაღალი დონის ფეხბურთელი და ერთი ამდენი კიდევ ისეთი, მათ ბევრით რომ არ ჩამოუვარდებოდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ პირველ ციკლში ჯგუფში მოპოვებული მესამე ადგილი ჯერაც საუკეთესო შედეგია საქართველოს ნაკრებისთვის.

მას შემდეგ 11-12 წელი გავიდა, ქართულ ფეხბურთში რალაც-რალაცები შეიცვალა, თუმც ეროვნულ გუნდს ახლაც ხუთი ევროპული კლასის ფეხბურთელი თუ ჰყავს. ჩვენს წარუმატებლობებს კი, ვინძლო, სხვათა გარდა ისიც განაპირობებს, რომ ფეხბურთი უნივერსალიზაციისკენ მიდის, ჩვენ კი ამ კომპონენტში დიდად ჩამოვრჩებით მილეთს — ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ახლო და საშუალო დისტანციიდან კარში ორივე ფეხით ხეირიანად დარტყმაც კი არ შეუძლია.

...შოთა გაისად 34 წლის გახდება და ალბათ მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის სანაკრებო კარიერას დაასრულებს...

— ნაკრებს ახლაც ძალიან მცირე შანსი აქვს ფინალურ ეტაპზე გასასვლელად — ამ დროისთვის რა გილვივებს ნაკრებში თამაშის მოტივაციას?

— ნაკრები ფინალურ ეტაპზე მაინც ვერ გავა — საკითხს ასე რომ ვუყურებდე, მაშინ მართლაც არ ექნებოდა აზრი ნაკრებში ჩემ თამაშს. ახლა ქართულ ფეხბურთში დიდი ინვესტიცია ჩაიდო, მოვიწვიეთ ცნობილი მწვრთნელი, გარემონტდა ეროვნული სტადიონი და მსურს, რომ ნაკრებში თამაშით გვერდში დავუდგე ქართულ ფეხბურთს. ადრე გაცილებით დიდი არჩევანი გვქონდა — ნაკრებში ერთ პოზიციაზე სამი-ოთხი დაახლოებით თანაბარი ძალის ფეხბურთელი მოდიოდა და ძალიან მწყდება გული, რომ მაშინ ასეთ დიდი ყურადღება და ინვესტიცია არ იყო. მიმაჩნია, რომ კარგი ნაკრების ჩამოყალიბება ახლაც შეგვიძლია.

— იგივე აზრის იყავი საფრანგეთთან 0:3 წაგების შემდეგ?

— საფრანგეთთან მატჩის შემდეგ მაინც გამარჯვებული ვიყავი, რადგან მანამდე არასდროს მიგრძვნია ასეთი კარგი საერთო განწყობა საქართველოს ნაკრების თამაშზე, მანამდე ასე ერთხმად და ასე კარგად ხალხს არ უმღერია საქართველოს ჰიმნი და ეს ხალხი მეტწილად ჩვენი დროშის ფერებში იყო გამოწყობილი. ეს ყველაფერი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფეხბურთში...

— ეროვნული სტადიონის მინდორი ფეხბურთელებს როგორ მოგეწონათ?

— ბევრად უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმც იმ პერიოდში თბილისში მაღალი ტემპერატურა იყო და ალბათ ამან დალი დაასვა მოედნის ხარისხს.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. X ტური**

ბარტონი 2:1 კემბრიჯი
ექსეტერი 4:2 სენტ ალბანსი
ფორესტ გრინი 2:2 ალტრინჩემი
გრეისი 1:2 ალდერშოტი
ჰალიფაქსი 3:1 დაგენემი
კიდერმინსტერი 2:0 სოთპორტი
მორეკემბი 0:0 ტემუორთი
ნორსვიჩი 4:0 სტაფორდი
რაშდენი 0:0 გრეივსენდი
სტივენეიჯი 1:0 ვეიმუთი
უოკინგი 1:2 იორკი

**ლიგის თასის მეორე ეტაპი**

ბარნსლი 1:2 დონსი
ბირმინგემი 4:1(დ.დ. 1:1) რექსემი
ბრენტფორდი 0:3 ლუთონი
ქრიუ 2:0 უიგანი
ჰერეფორდი 1:3 ლესტერი
ჰალი 0:0(პენ. 3:2) ჰარტლპული
ლიდსი 3:1 ბარნეტი
მენსფილდი 1:2 პორტსმუთი
მილუოლი 0:4 საუთჰემპტონი
პიტერბრო 1:2 ევერტონი
პორტ ვეილი 3:2 ქუინზ პარკი
როტერჰემი 2:4 ნორვიჩი
შეფილდი 1:0 ბერი
საუთენდი 3:2 ბრაიტონი
უოლსოლი 1:3 ბოლტონი
უოტფორდი 0:0(პენ. 6:5) აკრინგტონი
ვესტ ბრომვიჩი 3:1 ჩელტენემი
ჩარლტონი 1:0 კარლაილი
რედინგი 3:3(პენ. 4:2) დარლინგტონი

### სლოვაკეთი

**პირველი ლიგა. XI ტური**

ინტერი 1:1 სლოვანი
ტრნავა 2:2 დუბნიცა
ტრენჩინი 0:2 კოშიცე

### ავსტრია

**I დივიზიონი. IX ტური**

ადმირა 2:1 აუსტრია (მ)
ლუსტენაუ 3:1 ლინცერი
გრატკორნი 3:1 პარნდორფი
კაპფენბერგი 1:1 ლეობენი
კერნტენი 4:1 ჰარტბერგი
შვანენშტადტი 2:3 აუსტრია (ლ)

### იტალია

**სერია B. III ტური**

არეცო 0:0 ნაპოლი
ბრეშა 2:1 ტრევიზო
კროტონე 0:3 იუვენტუსი
ლეჩე 2:0 მანტოვა
მოდენა 2:0 ჯენოა
პესკარა 0:1 ბარი
პიაჩენცა 1:0 ბოლონია
რიმინი 2:1 ფროზინონე
ტრიესტინა 1:2 ალბინოლეფე

### თურქეთი

**თასის 1/16 ფინალი**

გეზზესპორი 1:2 ქონიასპორი
გენჩლერბირლიგი 1:0 გაზიანთეფ BB

### რუსეთი

**თასის 1/16 ფინალი საპასუხო მატჩი**

ტორპედო 3:1 ფაკელი (0:0)

### პოლონეთი

**თასის 1/16 ფინალი**

პოდბესკიდზე 1:2 ლეხი
პოლკოვიცე 2:2(პენ. 5:4) ბელხატოვი
გლივიცე 2:5 არკა
რუხი 6:0 პოლონია

### შოტლანდია

**ლიგის თასის 1/8 ფინალი**

სელტიკი 2:0 სენტ მირენი
ინვერნესი 0:1 ფოლკირკი
კილმარნოკი 2:1 (დ.დ. 1:1) ლივინგსტონი
სენტ ჯონსტონი 3:0 დანდი იუნ.

### საფრანგეთი

**ლიგის თასის II ეტაპი**

ისტრი 0:1 ლილი
დიჟონი 2:1 ამიენი
რეიმსი 3:1 კლერმონი
ნანტი 0:2 ტულუზი

### ჰოლანდია

**თასის მეორე ეტაპი**

ახილესი 0:0(პენ 4:3) ვოლენდამი
ASWH 4:2(დ.დ. 2:2) კამბური
გრააფსხაპი 3:1 ვენლო
ემენი 1:0 ზვოლე
ექსელსიორ 31 0:1 იგლსი
ეინდჰოვენი 3:2(დ.დ. 1:1) ჰერაკლესი
ფლევო ბოისი 0:2 ტილბურგი
გენემუიდენი 3:2(დ.დ. 2:2) ალმერე
ჰარდენბერგი 1:4 მაასტრიხტი
ბრეინი 3:4 დენ ბოსხი
ისელმერფოგელსი 2:4 ბრედა
როზენდალი 3:1 ჰელმონდი
რიინსბურგსე 1:0 სიტარდი
ნიიკერკი 1:6 ჰაარლემი
ტერ ლეედე 1:2(დ.დ. 1:1) ტელსტარი
უტრეხტი 3:1 აპელდორნი

### პორტუგალია

**სუპერლიგა III ტური**

სეტუბალი 1:0 ბოავიშტა





# ქართველები რუსულ ფრიადოსნებში

## ასათიანი ურყევია, გოგუა მიიწევს

მალხაზ ასათიანი, გოგიტა გოგუა, დავით მუჯირი — რუსულ პრემიერლიგაში სხვა ქართველებიც არიან, მაგრამ გამორჩეულად ეს სამეული თამაშობს. რუსული „სპორტ ექსპრესის" შეფასებებში ასათიანი საუკეთესო ცენტრალური მცველია და, ალბათ, ვერც ვერავინ დაეწევა. „ასკა" ლეგიონერებშიც მოწინავე პოზიციაზეა: მეოთხე ადგილზეა და არცთუ ბევრით ჩამორჩება ცეესკას ბრაზილიელ ჟოს, „რუბინის" არგენტინელ ალეხანდრო დომინგესსა და უზბეკ თანაგუნდელ პოლიაკოვს.

გოგიტა გოგუა კი უკვე მეორეა საყრდენ ნახევარმცველებში — მას იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც არმიელ ლიდერ ევგენი ალდონინს, თუმცა ჩვენიანს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და მისი მეორეობა ფორმალობაა.

რაც შეეხება პრემიერლიგის საუკეთესო ახალწვეულებს, გოგუა აქაც მეორე საფეხურზეა და მხოლოდ ჟოს ჩამორჩება.

დავით მუჯირის გვარი კი გამორჩეული შემტევი ნახევარმცველების სიაშია: „მუმუ" მეხუთეა და „სპარტაკის" იგორ ტიტოვს, „სატურნის" ალექსეი ერიომენკოს და ცეესკელებს — მილოშ კრასიჩსა და დანიელ კარვალიუს ვერ ჯობნის.

**ილია ნანობაშვილი**

# მუჯირს პლაუცის სტვენა არ ესმის



**რუსული** პრემიერლიგის მეოცე ტურში, გუშინწინ, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა" 1:0 დაამარცხა სამარის „კრილია სოვეტოვი". ეს მატჩი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მსაჯი ავსტრიელი კონრად პლაუცი გახლდათ, ვისთანაც დავით მუჯირს არცთუ თბილი ურთიერთობა აკავშირებს.

გეხსომებათ, „კრილიაში" გადასვლამდე მუჯირი ავსტრიულ „შტურმში" თამაშობდა...

— არ ვიცი, რატომ არ მოვწონვარ პლაუცს. იგი რატომღაც ყოველთვის ანტიპათიურად იყო განწყობილი ჩემ მიმართაც და „შტურმის" მიმართაც. რუსეთში კლუბს შეუძლია ერთი მსაჯი აიცილოს და მის ნაცვლად სხვისი დანიშვნა მოითხოვოს, ავსტრიაში კი ასეთი რამ დაუშვებელია, თუმცა ჩვენთვის ერთი გამონაკლისი მაინც დაუშვეს — ბოლო სეზონში პლაუცს „შტურმისთვის" არ უმსაჯია — გაიხსენა მუჯირმა.

საინტერესოა, რომ „ზენიტ" — „კრილიას" მატჩის შემდეგ პლაუცი და მუჯირი კარგა ხანს რაღაცას უხსნიდნენ ერთმანეთს. საქართველოს ნაკრების შემტევმა განგვიმარტა:

— მან მითანაგრძნო იმ მომენტის გამო, როცა ჩემი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა. ბოლოს კი ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ და დავშორდით.

**ქახა შალამბერიძე**

# ჩიხრაძეს სამუდამო გაუხსენეს

**ნალჩიკის** „სპარტაკის" მეკარე, ქართული წარმოშობის ალექსანდრე ჩიხრაძე ყაზანის „რუბინთან" მატჩში გააფრთხილეს, რაც ამ სეზონში უკვე მეოთხედ მოხდა და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი ლიდერია პრემიერლიგაში.

„მართალია. ძალიან ფეთქებადი ხასიათი მაქვს — თქვა ჩიხრაძემ — თუმცა ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა მსაჯთან შეკამათების სურვილიც არ მქონია."

შეგახსენებთ, რომ ჩიხრაძე, ვისთვისაც საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიცემის პროცედურა ჩიხში შევიდა, რვა წლის წინ რუსმა დისციპლინარებმა სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რადგან თანამსაჯ სერგეი ფურსუს ხელი გაარტყა. მოგვიანებით იგი შეიწყალეს, წლეულს კი ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს კარიერაში.

**ქახა შალამბერიძე**

# 19-წლამდელები მერანთან გაჭენდნენ

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებს ოქტომბერში ევროშესარჩევი მატჩები ელის რუმინეთში. მანამდე კი ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ტესტ-თამაშებს ეშურება და, მართალია, აზერბაიჯანში სპარინგების გამართვა ვერ მოხერხდა, მაგრამ გუშინ ტოპმიოლერის ბიჭები თბილისის „მერანს" ეთამაშნენ.

19-წლამდელებმა 2:0 მოიგეს, გოლები კი პირველ ტაიმში რუსთავის „ოლიმპის" თავდამსხმელმა ვახტანგ კვარაცხელიამ, შესვენების შემდეგ კი „ზესტაფონის" ნახევარმცველმა მირზა ბჟალავამ გაიტანეს.

ამ მატჩში არ უთამაშია „ამერის" ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილს, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატში ქუთაისის „ტორპედოსთან" კუნთი გაიჭიმა.

ჰაინც ტოპმიოლერმა ასეთი ძირითადი შემადგენლობა ათამაშა „მერანთან": *რ. კვასხვაძე, დ. მჭედლიშვილი, გ. თომაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ბენაშვილი, ბჟალავა, ხიდეშელი, ნ. კვასხვაძე, კვარაცხელია, გოცირიძე.*

**ილია ნანობაშვილი**

# საოქტომბრო საფრანგეთი

## საქართველომ ორს ორი მიუმატა...

**ფუტსალში** საქართველოს ეროვნული ნაკრები 24 და 25 ოქტომბერს თბილისში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს საფრანგეთის ნაკრებთან. შეხვედრები სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" ჩატარდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მწვრთნელებმა ანდრო მიზანდარმა და დავით სოლოღაშვილმა საამატჩებოდ 19 მოთამაშე გამოიძახა: *ალექსანდრე ჯამბურია, ლევან ზაქაიძე, ვასილ გვარამაძე, ლევან გაბუჩია; გიორგი თოთლაძე, რეზო დევდარიანი, ალექსანდრე ძაბირაძე, ავთანდილ ასათიანი, შოთა კუბლაშვილი, ლაშა ცნობილაძე, ალიკ სარქისიანი, სერგო ნაზარეტიანი, ირაკლი შელეგია, ვახტანგ წერეთელი, ნიკოლოზ ჩხაიძე, ნიკოლოზ ოსეფაშვილი, გიორგი სურმავა, ლევან სუმბაძე, გიორგი ალთუნაშვილი.*

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრებმა ორი ტესტ-მატჩი გამართა სომხეთის ნაკრებთან და ორივეჯერ მოიგო.

სადღეისოდ საქართველოს ნაკრები მსოფლიო რეიტინგში 67-ე ადგილზეა.

**ქახა შალამბერიძე**




*როგორც წესი, საქართველოს ჩემპიონატის მატჩების მერე საპრესკონფერენციო დარბაზებში მწვრთნელებიც და ჟურნალისტებიც უხალისოდ შევდივართ. მწვრთნელებზე ვერაფერს მოგახსენებთ, ჟურნალისტებს კი იმიტომ არ უყვართ მატჩისშემდგომი პრესკონფერენციები, რომ უმეტეს შემთხვევებში იქ საინტერესო არაფერი ითქმება და მწვრთნელები ძალიან ზოგადი შეფასებებით „გვიმასპინძლდებიან". ეს, როგორც წესი, მაგრამ ყველა წესს, მოგეხსენებათ, გამონაკლისები ახლავს და, ყურს კარგად თუ მივუგდებთ, ხანდახან ისეთი საინტერესო რამეები ითქმება... თუმცა შესავალი გაგვიგრძელდა და მთავარზე გადავიდეთ. ქვემოთ ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩების მერე მწვრთნელთა იმ გამონათქვამებს გაგაცნობთ, რომელთა ადგილიც, ჩვენი აზრით, სწორედ ამ რუბრიკაშია...*

**ჩიხურა — ლოკომოტივი**

*ამირან მინაშვილი, სტუმართა მწვრთნელი:* „თამამად ვიტყვი: ქართული ფეხბურთის პირველი მტრები მსაჯები არიან — როცა თამაში გასაგრძელებელია, მაშინ აყოვნებენ, ხანაც პირიქით."

ეს თამაში არ მინახავს და, შესაბამისად, ამ კონკრეტულ მატჩში მსაჯ გიორგი ვადაჭკორიას მუშაობაზეც ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მწვრთნელს არ ვენდო, საბაბი არ მაქვს, თუმცა...

*ვახტანგ თურმანიძე, მასპინძელთა მეორე მწვრთნელი:* „გიორგი ვადაჭკორიამ ნაღდი პენალტი არ მოგვცა და საერთოდაც, ცუდად იმსაჯა."

აი, ახლა კი დავიბენი, რაკი საჩხერელთა მწვრთნელისაც მჯერა. კი, მსაჯები რომ ძალიან ხშირად სცოდავენ, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ის კი უცნაურია, ორივე გუნდის მწვრთნელის კომენტარიდან ის რომ გამომდინარეობს, მსაჯი მაინცდამაინც ჩვენ საწინააღმდეგოდ ცდებოდაო. ეს როგორ?

**ბათუმი — ზესტაფონი**

*ამირან გოგიტიძე, ბათუმელთა მწვრთნელი:* „შედეგით კმაყოფილი ვარ."

აგაშენა ღმერთმა, იმაზე კარგი რა უნდა იყოს, მწვრთნელი თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი რომ რჩება, მაგრამ მწვრთნელის ამ შეფასებამდე მატჩის ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტისეული მიმოხილვა წავიკითხე და...

მიმოხილვიდან ვიგებ, რომ ბათუმელთაგან მხოლოდ დავით გოგოლაძე ორჯერ გასულა პირისპირ გრიგოლ ჭანტურიასთან და ვერ გაუტანია, ერთხელაც ტულუშს გაურტყამს ბურთი ზესტაფონელთა კარის ძელისთვის. ჰოდა, ამდენი ნაღდი მომენტის გაფუჭების მერე როგორ არის მწვრთნელი შედეგით კმაყოფილი, ძნელი ასახსნელია.

**ბორჯომი — ოლიმპი**

*ვლადიმერ ხაჩიძე, „ბორჯომის" მწვრთნელი:* „ჩამოიყვანო შვიდი არგენტინელი მარტო იმისთვის, რომ არგენტინელი ჰქვია?! ეს ქართული ფეხბურთის მასხრად აგდებაა. ამ ხალხს ჰგონია, რომ რადგან არგენტინელია, მორჩა, ძლიერია. იცით, პირველ ტაიმში შემადგენლობა იმ კაცმა დააყენა, ვინც ეს სელექცია ჩაატარა გუნდში. არ მაინტერესებს, რამდენი ხნით დარჩებიან არგენტინელები „ბორჯომში" და რა მისია აკისრიათ. ისინი მე არ მომიყვანია."

წესით და რიგით, ამ ციტატას No comment უნდა მივაწეროთ, ყველაფერი იმდენად ნათელია, მაგრამ მაინც: მწვრთნელი, რომელსაც შემადგენლობის დაყენებას არავინ ეკითხება, რალა მწვრთნელია; გუნდი, სადაც ასეთი რამეები ხდება, შორს ვერ წავა; ბატონი ვლადიმერი კი, თუ მის საქმეებში ასეთ ჩარევაზე ლაპარაკობს, გუნდიდანაც უნდა წავიდეს, ხოლო თუ არ მიდის, მაშინ არც უნდა ეთქვა ის, რაც პრესკონფერენციაზე თქვა.

*პატივისცემით, ავტორი*

**ოთარ მარცვალაძის** კიევის „დინამოში" გადასვლა უკრაინელი ჟურნალისტებისთვის დღემდე საინტერესო თემაა. მართალია, საქართველოს ნაკრების ფორვარდს უკრაინაში თავისი სათქმელი ჯერ არ უთქვამს, მაგრამ... მარცვალაძე „უკრაინელი ქართველების" ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელიაო, ამბობენ ჟურნალისტები...



# მარცვალაძე 2006

## შეცვლაზე თამაშით ცხოვრება შევცვალე

— ბოლო ათ წელიწადში საქართველო დატოვა თითქმის ყველა ფეხბურთელმა, ვისაც ამის შესაძლებლობა მიეცა. რატომ ხდება ასე?

— რთული ეკონომიკური პირობების გამო ფეხბურთს საქართველოში უჭირს. იქ ძლიერი საფეხბურთო კლუბების შექმნა ძალიან ძნელია, მაგრამ ამის ფონზე ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისაა. არა იმიტომ, რომ იქ იმდენი ფულია, რამდენიც უკრაინის ან რუსეთის ჩემპიონატში, არამედ იმიტომ, რომ იქ ძალიან ბევრი ტალანტია. ფეხბურთის სიყვარული და პოპულარობა ჩვენთან ტრადიციასავითაა. ეზოებში მოთამაშე ბავშვები უკვე მხოლოდ იმაზე კი არ კამათობენ, ვის შეარქვან ზიდანი, ბალაკი, ტოტი ან ფიგუ, არამედ იმაზე, ვინ იქნება არველაძე, კობიაშვილი, ასათიანი, კალაძე... თაობები საქართველოში ყოველთვის ნიჭიერები არიან, მერე კი... მერე, რაც უფრო დიდხანს დარჩები საქართველოს ჩემპიონატში, მით მალე შეწყვეტ პროგრესს. ამიტომაა, ბევრი რომ მიდის საქართველოდან და მათ ვერ გავამტყუნებ. ფეხბურთელობა რისკია, შეიძლება ერთმა ტრავმამ ყველაფერი დაგამთავრებინოს, ამიტომ ყველა ცდილობს, კარგ ჩემპიონატში გადასვლა მოასწროს, კარგი ფეხბურთი ითამაშოს და ოჯახიც შეინახოს.

— კიევის „დინამო" კი შენთვის პირველი უცხოური გუნდი არაა...

— 16 წლის ვიყავი, თენგიზ სულაქველიძის აკადემიიდან ექვსი თვით ისრაელში რომ წავედი. მაგრამ ეს ტრანსფერი კი არა, სტაჟირება იყო. თელ-ავივის „ჰაპოელში" ვვარჯიშობდი, მერე კი თბილისის „ვიტ ჯორჯია" დამიკავშირდა და საქართველოში დავბრუნდი.

— დარწმუნებული ხარ, რომ საქართველოს ჩემპიონატისთვის გადაიზარდე?

— ვთვლი, რომ მივაღწიე იმ დონეს, როცა დროა, ძალა ძლიერ ევროპულ გუნდში მოვსინჯო. კიევის „დინამო" საქართველოში ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ კახა კალაძე თამაშობდა. ეს ჩემთვის საუკეთესო არჩევანი და გამოწვევაა. საქართველოს ჩემპიონატში სეზონში ოცამდე გოლი გამქონდა და გუნდის ლიდერი ვიყავი, თუმცა არა მგონია, ეს ჩემი მაქსიმუმი იყოს. კიევის „დინამოში" კი დიდი კონკურენციაა, მაგრამ ეს უფრო საინტერესოს ხდის ჩემს მიზანს — ძირითადში მოხვედრას.

— კიევში გადმოსვლის მერე რა იყო ყველაზე ძნელი შენთვის?

— ფაქტობრივად, ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიხდა. ეს საქართველოში იცოდნენ, რომ ბომბარდირი და ერთ-ერთი პერსპექტიული ფეხბურთელი ვიყავი, უკრაინისთვის კი სრულიად უცნობი ვიყავი. „დინამოში" გადმოსვლის პირველივე წუთიდან უნდა დამემტკიცებინა, რომ ამ კლუბმა ყურადღება ტყუილად არ მომაქცია. ძალიან ძნელი იყო პირველი შეკრება. ბოლომდე ვცდილობდი, თავი არ დამეზოგა, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს ჩემთვის სხვა დონე იყო. მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც ყველანაირად მიწყობდნენ ხელს, რჩევებს არ მაკლებდნენ და უკვე მესამე შეკრებაზე ვიგრძენი, რომ ყველაფერი კარგად იყო, საერთო რიტმში ჩავჯექი. ამას მოჰყვა ბიჭებთან დამეგობრება, განსაკუთრებით ტარას მიხალიკთან და ლეგიონერებთან... აქაურებთანაც ახლოს ვარ. ასე რომ, პრობლემები უკან დარჩა.

— საქართველოში ლიდერი იყავი, აქ კი ან დუბლებში თამაშობ, ან ძირითად გუნდში 15-20 წუთი გიშვებენ მოედანზე...

— ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. კარგად მესმოდა, რომ თავიდანვე ძირითადში მოხვედრა ძალიან გამიჭირდებოდა — აქ ხომ ამდენი წელია, კლებერი, შაცკიხი, ვერპაკოვსკისი და მილევსკი თამაშობენ. თან გუნდთან შესაგუებლად დრო მჭირდებოდა. ახლა მთავარია, ერთ ადგილზე არ გავჩერდე და წინსვლა გავაგრძელო.

— 2006 წელი განსაკუთრებული იყო შენს ცხოვრებაში?

— დიახ, ბევრი რამ მოხდა. „დინამოში" გადასვლამ ჩემი ცხოვრება შეცვალა: მივხვდი, როგორ უნდა ვიშრომო, რათა წინ წავიწიო; პირველივე სეზონში მოვიგე უკრაინის თასი; მიმიწვიეს საქართველოს ნაკრებში... დანარჩენი უკვე ჩემზეა დამოკიდებული.

**გუშინ** გაიმართა სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სადისციპლინო კომიტეტის სხდომა. კომისიამ განიხილა საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში პირველი კატეგორიის მსაჯის ტ. არაბულის მატჩზე დაგვიანების ფაქტი.

კომისიამ გაითვალისწინა არაბულის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, მაგრამ მიიჩნია, რომ დღევანდელ პირობებში მას შეეძლო ოპერატიულად ეცნობებინა მსაჯთა დამნიშნავი კომისიისთვის შექმნილი სიტუაცია.

კომისიამ დაადგინა: ტ. არაბული დისკვალიფიცირებულია ორი კალენდარული ტურით — საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი, პირველი ლიგის და თასის გათამაშების მატჩებიდან.

*სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება*

# გიორგი დემეტრაძე მწვრთნელმა შეინახა

*საქართველოს ნაკრების და დონეცკის „მეტალურგის" თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე** საბოლოოდ მომჯობინდა და გუშინწინ ოდესის „ჩერნომორეცთან" მატჩში შეცვლაზეც ითამაშა. დონეცკელებმა 0:2 წააგეს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილამდე ჩაქვეითდნენ...*



— „ჩერნომორეცმა" გაცილებით უკეთ ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო — თქვა ნამატჩევს დემეტრაძემ.

— შეცვლაზე ითამაშე და ტრავმა კიდევ გაწუხებს?

— უკვე არა, სათამაშოდ მზად ვიყავი. ტრავმა ბოლომდე მოვირჩინე და თავს ნორმალურად ვგრძნობ. ალბათ, მწვრთნელმა გადაწყვიტა, არ გაერისკა და ჩემ ნაცვლად სხვა ათამაშა. ეს მისი საქმეა, ისე კი, ვფიქრობ, 90 წუთი თამაში შემეძლო.

— „ჩერნომორეცზე" რას იტყვი?

— წინა სეზონში მესამე ადგილზე გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია.

— „მეტალურგის" სტარტით უკმაყოფილო იქნები...

— ასეა. მართალია, დონეცკის „შახტარს" და კიევის „დინამოს" ავართვით ქულები, მაგრამ სხვა გუნდებთან ველარ ვვარგობთ და ეს ცუდია.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



# ტოტი და ნაკრები ისევ გადაიდო

**ფრანჩესკო ტოტიმ** გერმანია 2006-მდე თქვა, მუნდიალის შემდეგ ნაკრებში აღარ ვთამაშობო, მაგრამ „სკუადრა აძურას" დამრიგებელი რობერტო დონადონი არ მოეშვა და „რომას" შემტევი ნაკრებში დაბრუნებაზე თითქმის დაიყოლია. გუშინ კი ტელეარხ SKY ITALIA-ზე „რომას" თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ განაცხადა, რომ ტოტი ნაკრების ორ უახლოეს მატჩში არ ითამაშებს.

ევრო 2008-ის შესარჩევში იტალია 7 ოქტომბერს უკრაინას მასპინძლობს, ოთხი დღის შემდეგ კი თბილისში ჩვენს უპირველეს გუნდს გაეჯიბრება. სპალეტის განმარტებით, ტოტის ისევ აწუხებს ის ტრავმა, რომელიც თებერვალში მიიღო.

„ფრანჩესკო გულმოდგინედ ვარჯიშობს მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ჯერაც არაა გამოჯანმრთელებული და მოედანზე ძალისმიერ ორთაბრძოლებსაც არ გაურბის. მას მხოლოდ იმის ეშინია, ვაითუ საუკეთესოდ ვერ გაისარჯოს ნაკრებში, რადგან ოპტიმალურ ფორმაში არაა" — განაცხადა სპალეტიმ.

**დავით თავართქილაძე**

# თქვენი ინტერვიუ

# მალხაზ ასათიანთან

**თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ" არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...**



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 0:1 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | ა. იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | ა. იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |
| 85 | 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 | შ. არველაძე 2, აშვეთია |
| 86 | 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 | შ. არველაძე |
| 87 | 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 | ა. იაშვილი |
| 88 | 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | |
| 89 | 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 | გაბიდაური |
| 90 | 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 | |
| 91 | 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 | |
| 92 | 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 | |
| 93 | 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 | ასათიანი |
| 94 | 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 | ა. იაშვილი, დემეტრაძე |
| 95 | 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 | |
| 96 | 17/11/04 | შ | მჩ | დანია | 2:2 | დემეტრაძე, ასათიანი |
| 97 | 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 | აშვეთია |
| 98 | 26/03/05 | შ | მჩ | საბერძნეთი | 1:3 | ასათიანი |
| 99 | 30/03/05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | ამისულაშვილი, ა. იაშვილი |
| 100 | 04/06/05 | ს | მჩ | ალბანეთი | 2:3 | ბურდული, კობიაშვილი |
| 101 | 19/08/05 | ს | მჩ | ყაზახეთი | 2:1 | დემეტრაძე (2) |
| 102 | 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 | გახოკიძე |
| 103 | 07/09/05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | დემეტრაძე |
| 104 | 08/10/05 | შ | მჩ | ყაზახეთი | 0:0 | |
| 105 | 12/10/05 | ს | მჩ | საბერძნეთი | 0:1 | |
| 106 | 12/11/05 | ს | ამ | ბულგარეთი | 2:6 | ჯაკობია, გოგუა |
| 107 | 16/11/05 | შ | ამ | იორდანია | 3:2 | დემეტრაძე (2), შ. არველაძე |
| 108 | 27/02/06 | ნ | სტ | მოლდოვა | 1:5 | ცქიტიშვილი |
| 109 | 02/03/06 | ნ | სტ | მალტა | 2:0 | მარცვალაძე, კანკავა |
| 110 | 21/03/06 | ს | ამ | ალბანეთი | 0:0 | |
| 111 | 27/05/06 | ნ | ამ | ახ. ზელანდია | 1:3 | შ. არველაძე |
| 112 | 31/05/06 | ნ | ამ | პარაგვაი | 0:1 | |
| 113 | 16/08/06 | ს | ეჩ | ფარერები | 6:0 | შ. არველაძე (3), ა. იაშვილი, კობიაშვილი, დ. მუჯირი |
| 114 | 02/09/06 | შ | ეჩ | საფრანგეთი | 0:3 | |
| 115 | 06/09/06 | ს | ეჩ | უკრაინა | 2:3 | შ. არველაძე, დემეტრაძე |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | | |
|---|---|---|
| გიორგი | ნემსაძე | 69 |
| ლევან | კობიაშვილი | 65 |
| გოჩა | ჯამარაული | 62 |
| შოთა | არველაძე | 60 |
| გიორგი | ქინქლაძე | 54 |
| კახა | კალაძე | 52 |
| თემურ | ქეცბაია | 50 |
| გიორგი | დემეტრაძე | 48 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | 45 |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | 42 |
| ლევან | ცქიტიშვილი | 40 |
| არჩილ | არველაძე | 32 |
| ალექსანდრე | იაშვილი | 31 |
| მურთაზ | შელია | 28 |
| დავით | გვარამაძე | 28 |
| კახა | გოგიჩაიშვილი | 27 |
| მალხაზ | ასათიანი | 24 |
| გიორგი | ჩიხრაძე | 24 |
| გიორგი | ლომაია | 23 |
| კახა | ცხადაძე | 23 |
| გელა | შეყილაძე | 22 |
| მიხეილ | აშვეთია | 21 |
| ლევან | სილაგაძე | 21 |
| გივი | დიდავა | 21 |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | 21 |
| რევაზ | ქემოკლიძე | 20 |
| აკაკი | დევაძე | 20 |
| დავით | კვირკველია | 20 |

## გოლები

| | | |
|---|---|---|
| შოთა | არველაძე | 25 |
| თემურ | ქეცბაია | 16 |
| გიორგი | დემეტრაძე | 12 |
| ალექსანდრე | იაშვილი | 10 |
| გიორგი | ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | 8 |
| გოჩა | ჯამარაული | 6 |
| არჩილ | არველაძე | 6 |
| მიხეილ | აშვეთია | 5 |
| ლევან | კობიაშვილი | 5 |
| ზაზა | ჯანაშია | 4 |
| მალხაზ | ასათიანი | 4 |
| დავით | ჯანაშია | 3 |
| გოგა | გახოკიძე | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | ხაზარი (აზერბაიჯანი) | 6 | – |
| კახა | ალადაშვილი | ნ | 11/08/83 | დნიპრო (უკრაინა) | 6 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | უგუნდო | 19 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | შინიკი (რუსეთი) | 9 | 1 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | თამაში დაასრულა | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში დაასრულა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | ალკმაარი (ჰოლანდია) | 60 | 25 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 24 | 4 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| თორნიკე | აფციაური | ნ | 28/11/79 | ოლიმპი | 2 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | რუბინი (რუსეთი) | 21 | 5 |
| ლადო | ახალაია | თ | 26/06/82 | დინამო | 1 | – |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | თამაში დაასრულა | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ალექსი | ბენაშვილი | ნ | 20/03/89 | ზესტაფონი | 1 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში დაასრულა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მიხეილ | ბობოხიძე | თ | 23/11/81 | დინამო | 1 | – |
| მირზა | ბჟალავა | ნ | 05/02/88 | ზესტაფონი | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | კრივბასი (უკრაინა) | 15 | 2 |
| გიორგი | გაბიდაური | ნ | 06/12/79 | შახტიორი (ყაზახეთი) | 3 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | ამერი | 1 | – |
| გიორგი | განუგრავა | ნ | 21/02/88 | ზესტაფონი | 8 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | ტვენტე (ჰოლანდია) | 19 | 3 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | ჰალეშერი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | ლოკომოტივი | 28 | – |
| ვასილ | გიგიაძე | თ | 03/06/77 | კრივბასი (უკრაინა) | 3 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | თამაში დაასრულა | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | ბაკი (აზერბაიჯანი) | 5 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გოგიტა | გოგუა | ნ | 04/10/83 | ნალჩიკი (რუსეთი) | 14 | 1 |
| ბექა | გოცირიძე | თ | 16/08/88 | ზესტაფონი | 2 | – |
| რევაზ | გოცირიძე | თ | 17/01/81 | კამაზი (რუსეთი) | 2 | – |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | დინამო | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | მგლები | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | ამერი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | შახტიორი (ყაზახეთი) | 10 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | მგლები | 20 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მ. დონეცკი (უკრაინა) | 48 | 12 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ამერი | 21 | – |
| ზაალ | ელიავა | მ | 02/01/85 | სკონტო (ლატვია) | 1 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | უგუნდო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | თამაში დაასრულა | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| რევაზ | თევდორაძე | მკ | 03/09/88 | უგუნდო | 1 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ზესტაფონი | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 31 | 10 |
| სანდრო | იაშვილი | თ | 03/01/85 | დინამო | 3 | – |
| დავით | იმედაშვილი | მ | 15/12/84 | დინამო (უკრაინა) | 1 | – |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში დაასრულა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ზესტაფონი | 4 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | უგუნდო | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 52 | – |
| ილია | კანდელაკი | მ | 16/12/81 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 8 | – |
| ჯაბა | კანკავა | ნ | 18/03/86 | არსენალი (უკრაინა) | 14 | 1 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში დაასრულა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | მ | 11/05/79 | კაუნასი (ლიტვა) | 6 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | 20 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | თამაში დაასრულა | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | ნ | 10/07/77 | შალკე (გერმანია) | 65 | 5 |
| ლევან | კორღალიძე | ნ | 21/02/80 | სკონტო (ლატვია) | 3 | – |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში დაასრულა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში დაასრულა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ლუჩ ენერგია (რუსეთი) | 23 | – |
| ზურაბ | მამალაძე | მკ | 10/02/82 | ჩიხურა | 2 | – |
| ოთარ | მარცვალაძე | თ | 14/07/84 | დინამო (უკრაინა) | 3 | 1 |
| ლევან | მაღრაძე | ნ | 05/12/77 | ქსანთი (საბერძნეთი) | 3 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| კახა | მახარაძე | ნ | 20/10/87 | დინამო | 2 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ოლიმპი | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | უგუნდო | 4 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | შინიკი (რუსეთი) | 19 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ბაკი (აზერბაიჯანი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | უგუნდო | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| კახა | მჟავანაძე | მ | 02/10/78 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 14 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | ბათუმი | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | კრილია (რუსეთი) | 18 | 1 |
| დავით | მჭედლიშვილი | ნ | 05/04/88 | ამერი | 2 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | თამაში დაასრულა | 69 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | უგუნდო | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | უგუნდო | 1 | – |
| დავით | ოდიკაძე | ნ | 14/04/81 | დინამო | 4 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში დაასრულა | 11 | – |
| ნუკრი | რევიშვილი | მკ | 02/03/87 | რუბინი (რუსეთი) | 5 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | იურმალა (ლატვია) | 21 | – |
| ლაშა | სალუქვაძე | მ | 21/12/81 | რუბინი (რუსეთი) | 10 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | უგუნდო | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ზესტაფონი | 9 | – |
| გიორგი | სეთურიძე | მ | 01/04/85 | ოლიმპი | 1 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | თამაში დაასრულა | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | 21 | – |
| დავით | სირაძე | ნ | 20/10/81 | აუე (გერმანია) | 2 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | სიონი | 10 | – |
| ზვიად | სტურუა | მკ | 25/04/78 | დინამო | 2 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | თამაში დაასრულა | 11 | – |
| თემურ | ტუღუში | თ | 24/02/72 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ფოფხაძე | მ | 25/10/86 | ჰამარბი (შვედეთი) | 2 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | უგუნდო | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | თამაში დაასრულა | 4 | |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | დინამო | 20 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანართოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | რუბინი (რუსეთი) | 54 | 8 |
| მათე | ღვინიანიძე | მ | 10/12/86 | მიუნხენ 1860 (გერმანია) | 3 | – |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | თამაში დაასრულა | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ბაზელი (შვეიცარია) | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 13 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში დაასრულა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | თამაში დაასრულა | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | სკონტო (ლატვია) | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | თამაში დაასრულა | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | უგუნდო | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | ზესტაფონი | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | პანიონიოსი (საბერძნეთი) | 40 | 2 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | თამაში დაასრულა | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | უგუნდო | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | უგუნდო | 12 | – |
| რატი | წინამძღვრიშვილი | თ | 22/03/88 | ამერი | 2 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ზესტაფონი | 6 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ჭელიძე | ნ | 29/11/84 | ზესტაფონი | 2 | – |
| დავით | ჭიჭველიშვილი | ნ | 23/01/75 | სიონი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ამერი | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | ბლექბერნი (ინგლისი) | 42 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | სპარტაკი (ჩელიაბინსკი, რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | უგუნდო | 2 | – |
| ლაშა | ჯაკობია | თ | 20/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 7 | 1 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | თამაში დაასრულა | 62 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | მეშაქრე | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | თამაში დაასრულა | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში დაასრულა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ვოსტოკი (ყაზახეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ლკს (ლოძი, პოლონეთი) | 3 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | ამერი | 2 | – |



გვიდო როსი იტალიურ ფეხბურთში ვერ ჩაეტია

# ფიგაროსი არ გამოვიდა
## იტალიის მთავრობა ეძებს კაცს

**სკანდალი,** ნახევარსკანდალი თუ გაუგებრობა, რომელზეც „სარბიელის“ მკითხველს რამდენიმე დღის წინ ვაუწყეთ, მოგვარებულია: გვიდო როსი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ფედერალური კომისიონერის თანამდებობას შეელია. წავიდნენ მისი თანაშემწეებიც, ვიტო გამბერალე, პაოლო ნიკოლეტი და დემეტრიო ალბერტინი.

ახლა უფრო დაწვრილებით მოვყვეთ, რა იყო და როგორ. დავიწყოთ იმით, თუ რას ნიშნავს ფეხბურთის ფედერაციის ფედერალური კომისიონერობა და როგორ მოხვდა ამ თანამდებობაზე ბიზნესმენი გვიდო როსი. შეგახსენებთ, რომ მაისში, მას მერე, რაც იტალიურ ფეხბურთში თავი კალჩოპოლის სკანდალმა იჩინა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (გასაგები თანამდებობის კაცი) გადადგა და სახელმწიფომ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე და ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაყენებამდე თავის კაცს ჩააბარა საქმე. სწორედ ეს კაცი გახლდათ გვიდო როსი ანუ კითხვაზე, თუ როგორ მივიდა ის თანამდებობაზე, პასუხი ასეთია: დანიშნეს.

უნდა ითქვას, რომ როსის თანამდებობაზე ყოფნის სამთვიან მონაკვეთში ცუდი ნამდვილად არაფერი გაუკეთებია, მაგრამ წინა პარასკევს თავი იჩინა პრობლემამ — ის „ტელეკომ იტალიას“ პრეზიდენტად აირჩიეს, „ტელეკომ იტალია“ კი სერია A-სა და სერია B-ს სპონსორი გახლავთ. ერთი სიტყვით, როსის ან ერთი თანამდებობა უნდა დაეთმო, ან მეორე, თორემ საკუთარი თავის სპონსორობის მეტად უხერხული სიტუაცია იქმნებოდა.

საქმეში უკეთ გასარკვევად გვიდო როსი ორშაბათს იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანი პეტრუჩის შეხვდა და მისგანაც იგივე მოისმინა: „ინტერესთა კონფლიქტი“ მართლა გამოიკვეთა, რის გამოც უმჯობესი იქნება, თუ როსი ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობას თავს დაანებებს.

„როსიმ და მისმა ვიცე-კომისიონერებმა მოიფიქრეს იტალიური ფეხბურთის სტრუქტურული გადახალისების პროექტი, მაგრამ რამდენიმე ორგანიზაციასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ კომისიონერმა და მისმა გარემოცვამ დაინახეს, რომ გარემოებები თანამდებობაზე დარჩენის საშუალებას არ იძლევა და გადადგომა გადაწყვიტეს“ — წერია ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ როსი სიამოვნებით დარჩებოდა ორივე თანამდებობაზე და მეტიც, ცნობილია, რომ ოქტომბრის ბოლომდე ითხოვა კიდეც „ხელშეუხებლობა“ — ახალი საფეხბურთო დებულების დამთავრება სურდა — რის შემდეგაც თითქოს უსიტყვოდ აპირებდა წასვლას, მაგრამ ამის საშულება პეტრუჩიმ არ მისცა.

ასე და ამგვარად, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ფედერალური კომისიონერის თანამდებობაზე ახალი ადამიანია საპოვნელი. აქამდე ამბობდნენ, რომ როსის ნომერი პირველი შემცვლელი ზემოხსენებული ვიტო გამბერალე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა როგორ იქნება, კაცმა არ იცის.

ზოგი ცნობის თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში არეულ საფეხბურთო საქმეებს დროებით თავად პეტრუჩი გაუძღვება, მაგრამ დროებით სხვაა, ხოლო ძალაუფლების ვაკუუმი რომ დაუშვებელია — სხვა.

ვილაც-ვილაცებმა დაასახელეს ჯანი ლეტასა და 1996-97 წლების საგანგებო კომისიონერის, რაფაელე პანიოლის გვარებიც...

ცნობილია, რომ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საქმეზე დღეს იმსჯელებენ.

**ბაკუნა ძედია**

# ბექემი ფსონს ჩამოდის: ბექემი ნაკრებში ითამაშებს!



**32 წლის** დევიდ ბექემმა განაცხადა, რომ არასოდეს დაუბრუნდება პრემიერლიგას სათამაშოდ და რომ მადრიდში მშვენივრად გრძნობს თავს.

„სიმართლე რომ ვთქვა, „მანჩესტერში“ დიდხანს ვითამაშე და სხვა გუნდის სამოსში ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია — თქვა ბექსმა — ეს კლუბი მიყვარს და მისი ქომაგი ვარ. „ოლდ ტრეფორდზე“ სათამაშოდ გავიდე და სხვა სამოსი მეცვას?! ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. ისე, ცხოვრებაა და ვინ იცის, რა მოხდება, მაგრამ... მე ეს უბრალოდ, არ მინდა.“

ბექემმა ნაკრებში თავის არმიწვევასა და კაპიტნობიდან გადადგომაზეც ილაპარაკა, გუნება წამიხდა, როცა სტივ მაკლარენმა არ მიმიწვიაო.

„ათი წელიწადი ვითამაშე ნაკრებში. ახლა, სხვა რომ ვიყო, ფულს დავდებდი ბექემის ნაკრებში მიწვევაზე. ამაში დარწმუნებული ვარ. ექვს წელიწადს კაპიტნად ვიყავი და ჯერ კიდევ ზამთარში გადავწყვიტე გადადგომა. აზრი გარი ნევილსა და ჩემს ცოლს ვკითხე. გადაწყვეტილება მათაც მომიწონეს. არა მგონია, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო და გუნდს ახალი წინამძღოლი სჭირდება. ჯონ ტერი სწორი კანდიდატურაა. თუმცა მე კვლავაც მინდა ინგლისის სახელით თამაში. ეჭვი არ მეპარება, ასეც იქნება.“

**ირაკლი გამყრელიძე**

# ქალისგან დაშინებული



**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ხუმრობით ახსნა, თუ რატომ არ ჩქარობს პოსტის დატოვებას და პენსიაზე გასვლას. როგორც ირკვევა, მას თავისი მეუღლის, კეტრინის ეშინია.

„პენსიაზე 2002 წელსაც ვფიქრობდი, მაგრამ როდესაც წარმოვიდგინე, რომ მთელი დღის სახლში გატარება მომიწევდა ჩემს მეუღლესთან ერთად და მისი საყვედურები თუ შენიშვნები უნდა მესმინა, უმალვე გადავიფიქრე და კონტრაქტი გავახანგრძლივე. კეტი ძალიან მიყვარს, უკვე 40 წელია, ერთად ვართ, მაგრამ მასთან 24 საათის გატარება რთულია. მით უმეტეს, რომ იგი დაჟინებით ითხოვს, მანჩესტერიდან გლაზგოში გადავსახლდეთ. ამიტომ კიდევ რამდენიმე წელი ვიმუშავებ“ — თქვა 64 წლის შოტლანდიელმა.

შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონი „მანჩესტერს“ 1986 წლიდან თავკაცობს და კლუბთან ერთად უამრავი წარმატებისთვის მიუღწევია. თუმც ბოლო წლებში „წითელი ეშმაკები“ სათანადოდ ვერ ირჯებიან. ეს სეზონი კარგად კი დაიწყეს (ზედიზედ ოთხი მოგება პრემიერლიგაში და ერთი ჩემპიონთა ლიგაზე), მაგრამ გასულ უქმეებზე „ოლდ ტრეფორდის“ ბინადართა მოგებების სერია ლონდონის „არსენალმა“ შეწყვიტა. „მეთოფეებმა“ ფერგიუსონის შეგირდებს 1:0 მოუგეს.

**ქოქი ქანდელაკი**





# ჩელსი მილანია
## მაურინიუმ შევას კრიტიკა აკადრა

**ჟოზე მაურინიუმ** ანდრეი შევჩენკო პირველად გააკრიტიკა „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ, რომელიც „ლივერპულთან“ მატჩში 65-ე წუთზე შეცვალა.

„შევამ იცის, რომ მისგან მეტს მოველი — თქვა მენეჯერმა — თვითონაც უნდა, უკეთ ითამაშოს, მისი მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ჩვენეულ სქემას იოლად ვერ შეეგუა. ახლა ჩვენი თამაში მილანურს ჰგავს და აღარ უნდა გაუჭირდეს. საუცხოო ფეხბურთელია და ლიგის მთავარმეგოლეც უნდა გახდეს“.

პრემიერლიგის ხუთ ტურში შევჩენკოს მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი და ერთიც მანამდე გაიტანა „ქომუნითი შილდის“ (სუპერთასის) შეხვედრაში. ორივე ეს მატჩი „ჩელსიმ“ წააგო.

# ვილას სავარძელში ლერნერი ჩაჯდა

**მორჩა და** გათავდა, ამერიკელი მილიარდერი რენდი ლერნერი „ასტონ ვილას“ თავმჯდომარეა სრულიად ოფიციალურად, ყველა ბეჭდითა და ხელმოწერით — პრემიერლიგის კლუბმა საფონდო ბირჟაზე დაადასტურა, რომ ლერნერის წილი 90 პროცენტამდე გაიზარდა.

ამგვარად, თავმჯდომარის სავარძლიდან ადგა კაცი, რომელიც ოთხ მეგობართან ერთად 38 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბირმინგემის საფეხბურთო კლუბს — 82 წლის დაგ ელისი, რომელიც ამიერიდან საპატიო პრეზიდენტად დარჩება.

პირველად დაგ ელისმა „ასტონ ვილა“ 1968 წელს ჩაიბარა და 1975 წლამდე უხელმძღვანელა, შემდეგ კი 1982 წელს დაბრუნდა და დღემდე ერთგულად ემსახურა.

ბედის ირონიით, ბირმინგემელთა ყველაზე დიდი წარმატება (თუ 1897 წლის ჩემპიონობასა და თასს არ ჩავთვლით), 1981 წლის ჩემპიონობა და 1982 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის (დღევანდელ ენაზე ლიგის) მოგება მაინცდამაინც იმ წლებს დაემთხვა, როდესაც ეს ლეგენდარული კაცი კლუბს არ პრეზიდენტობდა.

საფონდო ბირჟაზე წარდგენილ დოკუმენტში წერია: „ასტონ ვილა“ სიამოვნებით ადასტურებს, რომ რენდოლფ ლერნერი კლუბის თავმჯდომარეა, ხოლო გენერალი ჩარლზ სი კრულაკი, ბობ კეინი და მაიკლ მარტინი ახალი, არააღმასრულებელი დირექტორები არიან. გადაწყვეტილება დღეიდან ძალაშია“.

**ბაჩუნა ძიძია**



ძველი და ახალი: დაგ ელისი და რენდი ლერნერი

# ბოლიჩი, სკოჩიჩი და მშობიარე სტამბოლში



ელვირ ბოლიჩი

**ბოსნიური** ფეხბურთის ვარსკვლავი და ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი ელვირ ბოლიჩი კარიერის დასრულებას აპირებს. მართალია, 34 წლის ფორვარდი ჯერ კიდევ ფიქრობს, მაგრამ მისი თქმით, 90 პროცენტით დარწმუნებულია, რომ თამაშს აღარ გააგრძელებს.

„არასოდეს თქვა არასოდეს, მაგრამ გადაწყვეტილება თითქმის მიღებული მაქვს. ამაზე უკვე რამდენიმე კვირაა, ვფიქრობ. ფსიქოლოგიურად ძველებურად განწყობილი არ ვარ. არანაირი მოტივაცია აღარ მაქვს, მათ შორის არც ფინანსური“ — თქვა ბოლიჩმა.

„ზენიტცას“, „ცრვენა ზვეზდას“, „გალათასარაის“, „გაზიანთეფის“, „მალათიას“, „ფენერბაჰჩესა“ და „რაიო ვალეკანოს“ ყოფილ ფორვარდს, რომელმაც ახლახან ხორვატულ „რიეკასთან“ კონტრაქტი გააუქმა, გადაწყვეტილების მიღებისკენ გასულ უქმეებზე მომხდარმა ინციდენტმა უბიძგა. „რიეკა“ „ოსიეკთან“ 0:2-ს აგებდა და მწვრთნელმა დრაგან სკოჩიჩმა პირველი ტაიმის მერე ბოლიჩი და გუნდის კაპიტანი დანიელ სარიჩი შეცვალა. ორივე მათგანმა პროტესტის ნიშნად უმალვე დატოვა სტადიონი, თუმცა მათ გარეშე „რიეკამ“ ანგარიშის გათანაბრება და ქულის აღება შეძლო.

ბოსნიის ნაკრების თავკაცს ბლაჟ სლიშკოვიჩს ბოლიჩის იმედი ჰქონდა ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე, მაგრამ გამოცდილ ფორვარდს სხვა გეგმები აქვს. ეროვნულ ნაკრებში მას 50-ჯერ უთამაშია და 24 გოლი გაუტანია.

„შესარჩევი ეტაპი ძალიან გრძელია, იგი ერთი ან ორი მატჩისგან არ შედგება, მე კი ამისთვის მზად არ ვარ. შესაძლოა, ნაკრებისთვის ბევრად მეტი უნდა გამეკეთებინა და მეც ეს მინდოდა, მაგრამ ყველაფერი სურვილისამებრ არ აეწყო. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც წასვლა გადავწყვიტე. თანაც ჩემი მეუღლე სადაცაა, იმშობიარებს და სტამბოლში წავიდა, მე კი რიეკაში მომიხდა დარჩენა. არა მგონია, ასეთ პირობებში თამაში შევძლო“ — დასძინა ბოლიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლიჩმა ქომაგებისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი 1996 წელს „ოლდ ტრეფორდზე“ გაიტანა, როდესაც „ფენერბაჰჩეში“ ირიცხებოდა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ორმოცწლიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა ევროსარბიელზე. 90-იანი წლების დასაწყისში იგი ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა.

**კოკი ქანდელაკი**

# როდრიგესი: აცადეთ ფენომენს გაზრდა!

**მადრიდის** „ატლეტიკომ“ გასულ უქმეებზე სტუმრად „ბილბაო“ 4:1 გაანადგურა. ხავიერ აგირეს შეგირდებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ქებაც დაიმსახურეს. განსაკუთრებით გამორჩეული კი დედაქალაქელთა არგენტინელი ვუნდერკინდი სერხიო აგერო გახლდათ.

18 წლის აგერო, რომელსაც ლეგენდარულმა დიეგო არმანდო მარადონამ „ფენომენი“ უწოდა, „ატლეტიკოში“ ამ ზაფხულს „ინდეპენდიენტედან“ გადავიდა. გავრცელებული ცნობით, მადრიდელებს იგი 25-30 მილიონი დოლარი დაუჯდათ. აგერო არგენტინის და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

თავიდან, მწვრთნელი ხავიერ აგირე მას ძირითად შემადგენლობაში არ აყენებდა და მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებდა, მაგრამ „ბილბაოსთან“ მატჩში მადრიდელთა ლიდერი ფერნანდო ტორესი დისკვალიფიცირებული გახლდათ და მექსიკელმა მწვრთნელმაც აგეროს შანსი მისცა, რომელიც არგენტინელმა ჩინებულად გამოიყენა.

„ბილბაოსთან“ მატჩში პირველი გოლი მაქსი როდრიგესმა სწორედ აგეროს აქტიურობის მერე შეაგდო. მესამე გოლი თავად აგერომ გაიტანა, ხოლო ბოლოს პენალტიც მოინადირა, რომელიც ზუსტად ლუსიანო გალეტიმ დაარტყა.

მიუხედავად ამისა, აგეროს თანამემამულე მაქსი ყველას მოუწოდებს, ნიჭიერი ფეხბურთელისგან თავიდანვე საოცრებები არ მოითხოვონ და მას გასახსნელად და გასაზრდელად დრო მისცენ.

მაქსი როდრიგესი: „იგი უკვე უმაღლესი კლასის მოთამაშეა და ყველას გვეიმედება, რომ ასევე გააგრძელებს. თუმცა აგეროზე ზეწოლა და ახლავე საოცრებების მოთხოვნა არ შეიძლება. მოთმინება გვმართებს და ყველაფერი კარგად იქნება“.

**კოკი ქანდელაკი**



სერხიო აგერო

## ფეხბურთის რუკასთან

**შოტლანდიური** „რეინჯერსის“ ხორვატი ფორვარდი დადო პრსო მუხლის ტრავმის გამო მომავალ კვირას „ოლდ ფირმს“ გამოტოვებს — „რეინჯერსი“ „სელტიკს“ ხვდება. „არ ვიცი, როდის დაუბრუნდება მინდორს — თქვა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა — არადა, ის გუნდისთვის მეტად საჭირო კაცია. „ჰიბერნიანთან“ წაგებულ მატჩში პრსო ძალიან დაგვაკლდა“. BBC-ის ცნობით კი ხორვატის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ შესაძლოა, კარიერა დაასრულოს.

**ბულგარული** „ლევსკის“ თავდამსხმელი ვალერი დომოვჩისკი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას „ჩელსისთან“ გამოტოვებს. იგი „ბარსელონასთან“ მატჩში დაშავდა და სოფიის ცსკა-სთან ჩემპიონატშიც ვერ ითამაშა. ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდს „ლევსკის“ შემადგენლობაში უკვე 39 გოლი აქვს გატანილი.

**გერმანული** პრესის ყოველწლიური მთავარი სპორტული ჯილდო ბუნდესნაკრებმა მიიღო. „ოქროს ხანა“ ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ იოაჰიმ ლიოვს გადასცეს. აგრეთვე, ეს ჯილდო სპრინტში ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლაუდია პეხშტაინმა მიიღო.

**ესპანეთის** ნაკრებმა არგენტინასთან ამხანაგური მატჩის გამართვაზე შეთანხმებას მიაღწია. შეხვედრა 11 ოქტომბერს მურსიაში გაიმართება. ამ ნაკრებებს აქამდე ერთმანეთში ათჯერ უთამაშიათ. აქედან არგენტინამ 5 მოიგო და სამი წააგო, ხოლო ორი მატჩი ფრედ დასრულდა.

**ჰოლანდიური** პსვ-ს თავდამსხმელმა ჯეფერსონ ფარფანმა გასულ უქმეებზე „ფეიენოორდთან“ მატჩში ტვინის შერყევა მიიღო. იგი პატრიკ კლუივერტს შეეჯახა. ექიმების თქმით, ფარფანი ალბათ „დენ ჰაგთან“ „ერედივიზიონის“ მატჩს გამოტოვებს, ხოლო მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე „ბორდოსთან“ მისი თამაში საეჭვოა. ლაზარეთშია ეინდჰოვენელთა კაპიტანი ფილიპ კოკუც, რომელიც, სავარაუდოდ, 7-10 დღე დაისვენებს.

**შვედმა** ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა ნაკრებში დაბრუნებაზე უარი თქვა. მას ზლატან იბრაჰიმოვიჩის ნაცვლად გამოუძახეს, რომელმაც შვედეთის მომავალ ორ მატჩში თამაში იუარა. თუმცა ლარსონის პოზიცია ურყევია — ახლა მხოლოდ „ჰელსინგბორგზე“ ვფიქრობ და ნაკრებს საბოლოოდ შევეშვიო.

# აფრინდა, აფრინდა, ღორი აფრინდა...
## მწვრთნელმა დალია და ისიც გაფრინდა

მწვრთნელები უცნაური ხალხია, მათ ხშირად გაცვეთილი ფეხსაცმელივით მოისვრიან, ისინი კი მაინც კლუბის ერთგულ ქომაგებად რჩებიანო, თქვა ვიღაცამ. ისე, რატომ ათავისუფლებენ მწვრთნელებს თანამდებობიდან? მიზეზი ათასია, თუმცა მათ შორის არის სახალისო მიზეზებიც. მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკოს“ ერთი ცნობილი თავკაცი იმიტომ მოისროლეს, რომ დაიჩივლა, ამდენი ესპანელი გუნდში რა ამბავიაო. დალოცვილო, ესპანეთში ხარ... და თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მოდი ცალი თვალი სასეირო გათავისუფლებებს გადავავლოთ.


პეტერ ნოირურერი


მაქს მერკელი


ჯონ ტოშაკი

თუმცა, თავიდან ისევ „ატლეტიკოს“ იმ მწვრთნელზე ვთქვათ. ეს კაცი გახლდათ ავსტრიელი მაქს მერკელი, თავის დროზე ცნობილი ევროპელი სპეციალისტი. ჰერ მერკელი ენაკვიმატი ადამიანი იყო. მისი ბიოგრაფიიდან საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ ფეხბურთელობის დროს ერთი თამაში, 1939 წელს, გერმანიის ნაკრებში ჩაატარა, მეორე კი, 1952 წელს, ავსტრიისაში. საერთოდ, მერკელი უცნაური ისტორიების მაგნიტი გახლდათ, მაგრამ ეს წერილი მის შესახებ არ არის და ამიტომ მის თავს გადამხდარი სახალისო ამბების თხრობას სამომავლოდ გადავდებთ, აქ კი მის ესპანურ საგას დავასრულებთ: „ესპანეთი საუცხოო ქვეყანა იქნებოდა, მასში ამდენი ესპანელი რომ არ ცხოვრობდეს“ — ბრძანა „ატლეტიკოს“ ყოფილმა თავკაცმა. როგორც ჩანს, ძალიან უყვარდა იქაურობა.

ისე, ზემოთ მწვრთნელის თანამდებობიდან უსამართლოდ დაფრენა და მისი მაინც იმ კლუბის ერთგულება რომ ვახსენეთ, მოდი, მაგალითით განვამტკიცოთ. აი, მაგალითად, პეტერ ნოირურერის ამბავი: პრეზიდენტი გიუნტერ აიხბერგი „შალკეს“ 1990 წელს ჩაუდგა სათავეში და იმავე წლის 13 ნოემბერს ზემოხსენებული ნოირურერი მოისროლა. რატომ? მაშინ მეორე ბუნდესლიგის გუნდი „შალკე“ ხომ ცხრილის სათავეში იდგა და ისე კარგად თამაშობდა, რომ დიდ ბუნდესლიგაში აუცილებლად გადავიდოდა. ნუთუ თანამდებობიდან დათხოვნის მიზეზი ნოირურერის ეს განცხადება გახლდათ: გამოცდა რომ მოაწყონ გერმანელ მწვრთნელთა საფეხბურთო განათლებასა და ფსიქოლოგიაში, გამარჯვებულს კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდი ჩააბარონ, მე ახლავე მადრიდის „რეალში“ მომიწევდა გადასვლა.

და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ასეთი დათხოვნის მიუხედავად, ნოირურერი დღემდე „შალკეს“ მისტირის და ქომაგობს.

სხვათა შორის, ბუნდესლიგის ისტორიაში — ხაზს ვუსვამთ, ბუნდესლიგის და არა გერმანული ჩემპიონატების — პირველი მწვრთნელი, რომელიც დაიფრინეს, გახლდათ ჰერბერტ ვინდმაიერი. ეს ამბავი 1963 წლის 30 ოქტომბერს მოხდა და ყურადსაღები იმითაც გახლდათ, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ 9 ტური იყო გასული, მაშინ კი ერთი-ორი შეხვედრის წაგებისთვის მწვრთნელებს არ ხსნიდნენ. მერედა, ვინდმაიერი თავად ფეხბურთელებმა მოხსნეს — „კაიზერსლაუტერნთან“ 0:5 წაგების შემდეგ კაპიტანმა ფერდინანდ ვენაუერმა სიტყვა წარმოთქვა: „გული გვტკივა, მაგრამ რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელია. ჩვენ თქვენ პატივს გცემთ, გაწეული გარჯისთვის მადლობას გულისტკივილით გიძღვნით“.

გერმანული ისტორიების შემდეგ უელსურ-ესპანური ვთქვათ, ლაპარაკია წარსულში ჩინებულ ფორვარდ ჯონ ტოშაკზე, რომელიც სად-სად და, თვით მადრიდის „რეალში“ დაფრინავდა. შემდეგ, როდესაც ტოშაკი მწვრთნელი გახდა, მას ორჯერ ჩააბარეს სამეფო გუნდი. ბოლოს ეს ახლახან იყო, მე-20 საუკუნის მიწურულს, მაგრამ, ვაგლახ, ამ საქმიდან კარგი არაფერი გამოვიდა. ტოშაკმა 1999 წელს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ასე განაცხადა:

„ყოველი მატჩის შემდეგ მეუფლება მძაფრი სურვილი, დღეს ნათამაშევი თერთმეტივე ფეხბურთელი შევცვალო, მაგრამ რამდენიმე დღეში შესაცვლელთა რაოდენობა ხუთამდე მცირდება და ბოლოს, შემდეგი ტურის დღეს, იძულებული ვხდები, ისევ ის თერთმეტი უთო გავუშვა მოედანზე“.

ვიმეორებთ, ეს ითქვა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებზე...

მოკლედ, ტოშაკის მოხსნაზე მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ თავად მწვრთნელი ყინჩად იდგა:

„უმალ ღორი გადაუფრენს „სანტიაგო ბერნაბეუს“, ვიდრე მე თანამდებობიდან გამათავისუფლებენ“ — თქვა მან.

სამ თვეში „სანტიაგო ბერნაბეუს“ ღორმა გადაუფრინა.

„რეალზე“ ვლაპარაკობდით: 1997 წელს მადრიდელებს ოტმარ ჰიცფელდის დაქირავება არ გამოუვიდათ და მისი თანამემამულე იუპ ჰაინკესი გაამწვრთნელეს. შედეგი ყველამ იცით — ჰაინკესმა „რეალს“ იმავე წელიწადს მოაგებინა ჩემპიონთა თასი და... წარმატებამ დაღუპა. ის დღე იყო და ის დღე, ჰაინკესმა ველარც ფეხბურთელებთან გამოძებნა საერთო ენა და ველარც კლუბის ხელმძღვანელებთან.

ბრანკო ზებეცი კი, მართალია, დიდი მწვრთნელი იყო და „ჰამბურგს“ უამრავი რამ მოაგებინა, მაგრამ, რომ გალოთდა, სათადარიგოთა სკამიდან ჩამოვარდა, ხოლო „დორტმუნდთან“ 0:2 წაგების შემდეგ პრესკონფერენციაზე თქვა:

„0:2 არაფერია. შემდეგ ტურშიც მოვიგებთ“

**ბაჩუნა ბედია**




# ღამურის მუხლი

**„ვალენსიას“** და ესპანეთის ნაკრების მცველ კარლოს მარჩენას გასულ უქმეებზე „ხეტაფესთან“ მატჩში მარცხენა მუხლის მყესები გაუწყდა და წლის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ამის შესახებ გუშინ კლუბმა განაცხადა.

27 წლის ცენტრალური მცველი „ხეტაფესთან“ ტრავმირებული დავიდ ალბელდას ნაცვლად ნახევარდაცვაში თამაშობდა, მაგრამ თავადაც დაშავდა და მე-19 წუთზე შესაცვლელი გახდა.

მეგოლე დავიდ ვილიამაც მცირე ტრავმა მიიღო, ხოლო „ჩელსიდან“ გადასულ ასიერ დელ ორნოს „ვალენსიას“ შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია.

პრიმერადივიზიონში „ვალენსია“ იმ სამი კლუბიდან ერთ-ერთია, რომელსაც სამ ტურში ჯერ ქულა არ დაუკარგავს და მომავალ უქმეებზე „ბარსელონას“ ესტუმრება.

ცხადია, კარლოს მარჩენა გუნდს ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ ჯგუფურ მატჩებშიც ვერ დაეხმარება. „ღამურებმა“ პირველ ტურში სტუმრად „ოლიმპიაკოსს“ 4:2 მოუგეს, ხოლო ბერძნების გარდა, ჯგუფში მათი მეტოქეები არიან „რომა“ და „შახტარი“.

ბოლოს კი „ვალენსიას“ მეკარე სანტიაგო კანისარესზე ვთქვათ, რომელიც დეკემბერში კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. მის ხელშეკრულებას მომავალ ზაფხულში ეწურება ვადა, მაგრამ 36 წლის ვეტერანი კვლავაც „ღამურების“ ერთგული რჩება.

„ჩემდა სასიხარულოდ, კლუბის პრეზიდენტმა მე და ჩემს აგენტს გვითხრა, რომ დეკემბერში ახალ კონტრაქტს შემოგვთავაზებს და ამიტომ, მანამდე სხვა წინადადებებს არ მივიღებ. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ისე ჩანდა, რომ მომავალ ზაფხულს „ვალენსიადან“ აბარგება მომიწევდა, თუმც გასულ კვირაში აგენტი პრეზიდენტს შეხვდა და ხელშეკრულების გაგრძელებაზე ესაუბრა. მე მსურს დარჩენა და „ვალენსიასაც“ ვჭირდები, ამიტომ აქედან წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა გახარებულმა სანტიაგო კანისარესმა.

**ირაკლი გამყრელიძე**




სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# РЕВОЛ-ВЕРИТЬСЯ И НЕ ВЕРИТЬСЯ

## ცენტრალური ზონა როგორც ზონა

### მწვრთნელი პახანია, შეგეშალა, ძმაო, წიხლებში გაგიგდებს



**დაილოცოს** რუსული ფეხბურთი. აქ, თუკი რამ ადამიანს სალაღობოდ და გასართობად სჭირდება, ყველაფერია. პრემიერლიგაში თავმოყრილია ძლიერი გუნდები, დიდხელფასიანი უცხოელი ლეგიონერები, არის დაძაბული მატჩები და სატურნირო მდგომარეობა. პრემიერლიგას ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა პირველი დივიზიონი. ტემპი და ხარისხი აქაც საკმაოა, თუმცა მეორე ლიგაში... როგორც ირკვევა, რუსეთის მეორე ლიგას ხალხის დაინტერესების თავისი მეთოდები მოუგონებია.

აქ, ცენტრალურ ზონაში, ლიპეცკის „მეტალურგი" თამაშობს. ეს ის გუნდია, რომელმაც ორი წლის წინ თვით მოსკოვის „სპარტაკი" გამოთიშა თასის გათამაშებიდან, მაგრამ ამჯერად ლიპეცკელებმა გამოთიშვა-გათიშვის სხვა ასპარეზი ნახეს — გუნდის კაპიტანი ალექსეი მოროჩკო ვარჯიშიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.

ზუსტად რა მოხდა, კაცმა არ იცის, თუმცა კლუბთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, რომ „მორდოვიასთან" 0:1 წაგების შემდეგ ხსენებულმა მოროჩკომ და მთავარი მწვრთნელის სტანისლავ ბერნიკოვის შვილმა ერთმანეთს მწარე სიტყვები უთხრეს. ამის დანახვაზე საქმეში რამდენიმე კაცი, მათ შორის თვით მამა ბერნიკოვი ჩარეულა და მოროჩკო და მისი ძმაკაცები უცემიათ.

უცემიათო? ზოგმა თქვა, რომ მოროჩკო ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს... ამის დამნახავმა დანარჩენმა ფეხბურთელებმა კი თავი დახარეს და ვარჯიშზე გასწიეს.

და მაინც, რა უნდა ეთქვა საბრალო მოროჩკოს მწვრთნელისა და მწვრთნელოვიჩისთვის ასეთი?

გუნდთან დაახლოებულებმა ამაზეც გამოიტანეს ხმა — კაპიტანს უთქვამს, ჩაწყობილ თამაშებში ტყუილად გვარბენინებთ თქვე ცუდებოო.

# ჩვენ დიდი გუნდი ვართ

## ზლატანს კრესპო ტრეზეგე ჰგონია

**„ჩემი აზრით,** ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთი, როგორც თამაშის დროს, ასევე მის შემდეგ სიამოვნებას განიჭებდეს. მე, პირადად, ის ყოველთვის და ყველანაირი ფორმით საოცრად მსიამოვნებს. ჩემპიონატი ჯერ იწყება, „ინტერმა" სულ რაღაც ოთხი თამაში გამართა, მაგრამ ეს ოთხი თამაში კოლოსალური სტიმულისთვის სრულიად საკმარისი გამოდგა. ვფიქრობ ამ სეზონში ჩვენ ყველა ტურნირის მოგება შეგვიძლია. ამისათვის დაუზარელი მუშაობაა საჭირო და მეტი არაფერი. დიახ, ჩვენ ეს შეგვიძლია, რადგან დიდი გუნდი ვართ" — ეს გახლავთ ციტატა შვედი ფორვარდის ზლატან იბრაჰიმოვიჩის მიერ ტელეკომპანია **Sky Italia**-სთვის მიცემული ინტერვიუდან.

შეგახსენებთ, რომ ბოსნიურ-ხორვატული წარმოშობის შვედი ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში „იუვენტუსში" თამაშობდა და რომ არა კალჩოპოლის სკანდალი, ახლაც იქ იქნებოდა, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ სპორტულმა ტრიბუნალმა „ბებერი ქალბატონი" სერია **A**-დან სერია **B**-ში დააქვეითა, მყისვე ყველა ღონეს მიმართა, რათა ტურინიდან გაქცეულიყო და მყიდველიც წამში გამოუჩნდა — „ინტერი", კლუბი, რომელმაც „იუვენტუსისთვის" ჩამორთმეული ჩემპიონის ტიტულიც შეიშნო და არც გაქცეულ ფეხბურთელებზე თქვა უარი.

„როდესაც „იუვენტუსში" ვთამაშობდი, ზეწოლას ვგრძნობდი. რატომ? იმიტომ, რომ იქ, ისევე როგორც „ინტერში", გუნდის წინაშე დიდ ამოცანებს სახავენ. მე წაგება მძულს. უკლებლივ ყოველ შეხვედრაში გამარჯვება მწყურია და მშია. სამწუხაროდ, ასეთ სურვილს ყოველთვის როდი უწერია ახდენა. აი, მაგალითად ბოლო შეხვედრა „სამპდორიასთან" ამის თვალსაჩინო მაგალითი გამოდგა. დიახ, ჩვენ მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, მაგრამ მუდმივად ვერ ვიმარჯვებთ, რადგან ასე არ ხდება. მთავარია, მუდმივად პროგრესს განვიცდიდეთ" — თქვა იბრაჰიმოვიჩმა.

შემდეგ „ინტერის" თავდასხმაზე ჰკითხეს.

„ერნან კრესპო ძალიან მაგონებს ჩემს იუვენტუსელ პარტნიორს დავიდ ტრეზეგეს. ერთიცა და მეორეც საჯარიმო მოედანზე საუცხოონი არიან. რაც შეეხება ადრიანოს, ის საჯარიმოშიც ძალიან ძლიერია და მის გარეთაც. კრესპოსთვის მთავარი გოლის გატანაა, ისე კი ჩვენ ყველაფერი კარგად მაშინ გამოგვდის, როდესაც მიზნად გუნდის გამარჯვებას ვისახავთ და არა საკუთარ გოლს".

მარკო მატერაცისთან იბრაჰიმოვიჩი, ისევე როგორც ყველა მეტოქე, რასაკვირველია, ნაჩხუბარი იყო:

„მატერაცისა და კორდობას ყოველდღიურად უკეთ ვიცნობ. ის, რაც მოედანზე ხდება და ის, რაც ცხოვრებაში ხდება, ერთმანეთთან არაფერ



კავშირში არ არის. ჩვენ ერთმანეთთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მერე რა, რომ „იუვეში" თამაშის დროს მათთან გაწევ-გამოწევა მომსვლია".

დაბოლოს ისევ: „ჩვენ ყველაფრის მოგება შეგვიძლია. ჩვენ დიდი გუნდი ვართ და ერთი მიზანი გვაქვს — სკუდეტო!"

**პაპუნა ძიძია**



# პანიკის გარეშე!

## ბენიტესმა სისოკო ყვითლებისგან დაიცვა

**ინგლისურმა** „ლივერპულმა" სეზონი ცუდად დაიწყო. პრემიერლიგაში მერსისაიდელებმა ოთხი მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ოთხი ქულა აქვთ. თუმცა გუნდის ესპანელ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს ეს არ აშინებს. მისი თქმით, პანიკა საჭირო არ არის და ყველაფერი გამოსწორდება. დღეს „ლივერპული" „ენფილდზე" „ნიუკასლს" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონატის ამჟამინდელ, მოულოდნელ ლიდერ „პორტსმუთთან" სხვაობას 6 ქულამდე შეამცირებს.

„სეზონი ახალი დაწყებულია, ჯერ მხოლოდ 4 მატჩი ჩავატარეთ და ყველაფერი წინ არის. ტრაგედია არ უნდა შევქმნათ და ყველაფერს სხვაგვარად შევხედოთ. ჩვენც გვინდა თავიდანვე ცხრილის სათავეში ვიყოთ, მაგრამ მთელ სეზონზე ვფიქრობთ, სულ ცოტა ერთი ტიტულის მოპოვებას ვგეგმავთ და ეს გვირჩევნია ახლა ორი-სამი მატჩის მოგებას. გუნდი კარგად უნდა შეთამაშდეს და შედეგიც არ დააყოვნებს" — თქვა ბენიტესმა.

„ვალენსიას" ყოფილმა თავკაცმა პრეტენზია გამოთქვა მსაჯების მიმართ. კერძოდ, იგი უკმაყოფილოა, რომ მოჰამედ სისოკოს უკვე სამი ყვითელი ბარათი აქვს. მისი აზრით, ახალგაზრდა ნახევარმცველი ამ გაფრთხილებებს არ იმსახურებდა.

რაფაელ ბენიტესი: „ბევრი სახელიანი ფეხბურთელი სიტყვიერ გაფრთხილებასაც არ იღებს ხოლმე, სისოკოს კი უწყინარ ჯარიმაზე აძლევენ ყვითლებს, ეს სწორი არ არის. სახელის გამო იმუნიტეტი არავის არ უნდა ჰქონდეს და ახალგაზრდები არ უნდა იჩაგრებოდნენ".

ალვნიშნოთ ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგაზე, პსვ-სთან მატჩის ჩათვლით, „ლივერპულს" ბოლო სამი თამაშია, გოლი არ გაუტანია.

**ბოკი ბანდელაკი**

---

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „ლილის" მეკარე ტონი სილვა საზარდულის ტრავმის გამო რამდენიმე კვირით გუნდს დააკლდება. 31 წლის სენეგალელი გასულ შაბათს „ტულუზთან" საშინაო მატჩში დაშავდა, რომელიც „ლილმა" 1:3 წააგო. „ისტრთან" გუშინდელ სათასო შეხვედრაში ტონი სილვას ნაცვლად კარში გრეგორი მალიკი იდგა.

**ავსტრალიური** „ადელაიდა" ბრაზილიელ რომარიოს ეპატიჟება. სახელგანთქმულ ფორვარდს მომავალ წელს 41 უსრულდება, მაგრამ კარიერის დასრულებას მანამდე არ აპირებს, სანამ 1000 გოლს არ გაიტანს. ათასამდე კი დაახლოებით 50 უკლია. რომარიო ამჟამად „ვასკუ და გამას" ფეხბურთელია. იგი ცოტა ხნით აშშ-ს მეორე ლიგის „მაიამიში" იყო განათხოვრებული და 25 მატჩში 19 გოლის გატანა მოასწრო. თუ „ადელაიდაში" გადავა, მისი დებიუტი 25 ნოემბერს „გოსფორდთან" შედგება.

**პოლონურმა** „ვისლამ" რუმინელი მწვრთნელი დან პეტრესკუ ცუდი შედეგების გამო გადააყენა. ბოლო ექვს წელიწადში ქვეყნის ჩემპიონი „ვისლა" ახლა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, მაგრამ წინა ტურში აუტსაიდერ „ლეჩნას" ვერ მოუგო, ხოლო უეფას თასზე საშინაო მატჩში „ირაკლისთან" 0:1 დამარცხდა. „სეზონი ცუდად დავიწყეთ და პეტრესკუს გაშვებაც ამიტომ გადავწყვიტეთ" — განაცხადა კლუბის შეფმა ირჟი იურჟინსკიმ. შეგახსენებთ, რომ დან პეტრესკუ „ვისლას" მწვრთნელად წინა სეზონის შუაში დანიშნეს. მისი შემცვლელის ვინაობა ჯერ უცნობია.

**ბუნდესლიგის** ლიდერ ბერლინის „ჰერტას" გელზენკირხენის „შალკესთან" 2:0 მოგება ძვირი დაუჯდა. ბერლინური კლუბის მთავარმა ნახევარმცველმა ილდირაი ბაშთურქმა მარცხენა მუხლის მყესები დაიზიანა და ალბათ სამი კვირა ველარ დაეხმარება გუნდს, ხოლო ჟილბერტოს, დაახლოებით მსგავსი ტრავმის გამო ორი თვე მკურნალობა მოუწევს.

**ინგლისურ** „მანჩესტერ სიტის", რომელიც დღეს სათასო მატჩში სტუმრად „ჩესტერფილდს" ხვდება, ტრავმის გამო ორი ფეხბურთელი დააკლდება. მეკარე ანდრეას ისაკსონი და მცველი ჰატემ ტრაბელსი ერთი თვე ველარ ითამაშებენ. „სიტიში" ამ ზაფხულს გადასულმა ისაკსონმა მუხლის ოპერაციის შემდეგ ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ სწორედ ვარჯიშზე დაშავდა. ჰატემ ტრაბელსიმ კი გასულ კვირას „ბლექბერნთან" სადებიუტო შეხვედრაში მიიღო ტრავმა.

# იტალია

# სიცილიური დერბის დედა

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | პარმა |
| კიევო | : | ლაციო |
| კალიარი | : | ლივორნო |
| მილანი | : | ასკოლი |
| მესინა | : | რეჯინა |
| პალერმო | : | კატანია |
| რომა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | უდინეზე |
| ტორინო | : | სიენა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პალერმო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ემპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მესინა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კატანია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სიენა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლივორნო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კიევო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სამპდორია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ასკოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | -2 |
| ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -11 |
| რეჯინა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | -12 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -19 |

*მილანს დაკლებული აქვს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*



ვალტერ სამუელი და ფრანჩესკო ტოტი

**სერია A-ში** კიდევ ერთი დიდი მატჩის დრო მოვიდა — „რომა“ — „ინტერი“. „მილანის“ მინუს ქულების გათვალისწინებით, სკუდეტოს ფავორიტად სწორედ ეს ორი კლუბი ითვლება და მათი დაპირისპირება ისედაც ყოველთვის საინტერესოა. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ სეზონის დასაწყისში იტალიის სუპერთასის დრამატული მატჩი, რომელშიც „რომა“ 3:0-ს იგებდა, მაგრამ „ინტერმა“ ანგარიშის გათანაბრება შეძლო და დამატებით დროში 4:3 მოიგო.

„სტადიო ოლიმპიკოზე“ ამ კლუბების შეხვედრებში „რომას“ 31-ჯერ მოუგია, „ინტერს“ კი 24-ჯერ, ხოლო 20 მატჩი ფრედ დასრულდა. გასულ სეზონში მათი დაპირისპირება 1:1 დამთავრდა.

ეს მატჩი განსაკუთრებული იქნება დავიდ პიზაროსთვის, რომელიც „ინტერიდან“ „რომაში“ ამ ზაფხულს გადავიდა. ჩილელი შეეცდება, დაამტკიცოს, რობერტო მანჩინის სათადარიგოთა სკამზე ტყუილად ვეჯექიო. კვლავ ტრავმა აწუხებს ვინჩენცო მონტელას და „გლადიატორთა“ თავდასხმაში კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ისევ ეულად იქნება. მას ამანტინო მანსინი და როდრიგო ტადეი მიეხმარებიან.

„ინტერის“ დაცვის ცენტრში ოდინდელი რომაელი ვალტერ სამუელი და მარკო მატერაცი იქნებიან, მარცხნივ, მუნდიალის გმირ ფაბიო გროსოს ვიხილავთ, მარჯვნივ კი ხავიერ ძანეტის. ნახევარდაცვაში, დაშავებულ ესტებან კამბიასოს ამ ზაფხულს „რომადან“ გადასული ოლივიე დაკური შეცვლის და შუაში პატრიკ ვიეირას შეუწყვილდება. ლუიშ ფიგუ მარჯვენა ფლანგზე დაბრუნდება, ხოლო დეიან სტანკოვიჩი მარცხნივ იქნება და ცენტრში გადაინაცვლებს ხოლმე. წინ ისევ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ერნან კრესპო ითამაშებენ, ხოლო ადრიანო თავის შანსს დაელოდება. აი, კარში კი ფრანჩესკო ტოლდო ჩადგება თუ ჟულიო სეზარი, ამას ალბათ მანჩინი ბოლო მომენტში გადაწყვეტს.

„ნეროაძურის“ მწვრთნელისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი გუნდის მძიმე სტარტით უკმაყოფილოა და ამბობენ, მანჩინის გაშვებაზეც ფიქრობსო.

არანაკლებ საინტერესო და დაძაბული მატჩია პალერმოში, სადაც ისტორიული სიცილიური დერბი გაიმართება. ფრანჩესკო გვიდოლინის „პალერმო“ პიერლუიჯი მარინოს „კატანიას“ მასპინძლობს. სეზონი ორივემ კარგად დაიწყო. პალერმოელები ერთ-ერთ ლიდერად გვევლინებიან და უეფას თასზე ლონდონში „ვესტ ჰემსაც“ მოუგეს. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „კატანია“ კი 4 ქულით იწონებს თავს.

სერია A-ში ეს კლუბები ერთმანეთს 43 წელია, არ შეხვედრიან და მატჩის გარშემო, ცხადია, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ბოლო მათი დაპირისპირება 2004 წლის აპრილში სერია B-ში შედგა და მაშინ პალერმოელებმა მეტოქე 5:0 გაანადგურეს.

„მე მხოლოდ 45 წლის ვარ ანუ ზედმეტად ახალგაზრდა იმისთვის, რომ სერია A-ში მათი ბოლო დაპირისპირება მახოვდეს, მაგრამ ამის მსგავსი მატჩი არ არსებობს. ეს ყველა დერბის დედაა. ეს ორი ქალაქი ერთმანეთს ყოველთვის ეპაექრება, მათი დაპირისპირება ფეხბურთის საზღვრებს სცილდება. პალერმო და კატანია ურთიერთს ბიზნესში, კულტურაში, ხელოვნებაში და საერთოდ ყველაფერში ეჯიბრებიან. ასე რომ, ფანებიც და გუნდებიც განსაკუთრებულად შემართულნი იქნებიან. რა თქმა უნდა, „პალერმო“ ფავორიტია, მაგრამ სეზონი ორივემ კარგად დაიწყო. თან ეს დერბია და ვერავინ იტყვის, რა მოხდება“ — განაცხადა ცნობილი გაზეთის „ლა სიცილიას“ გამომცემელმა ანტონიო ფიასკონარომ.

ტურის სხვა მატჩები ამ ორი დაპირისპირების ჩრდილში ექცევა, მაგრამ ერთი-ორი მაინც უნდა გამოვარჩიოთ. „მილანი“ „ასკოლის“ მასპინძლობს და უპირობო ფავორიტადაც ითვლება. კარლო ანჩელოტის შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ, რათა დარჩენილი მინუს ორი ქულაც მოიშორონ და წინ გაჭრილი მეტოქეების დევნა გააგრძელონ.

ცხრილის ფსკერზე დალექილი „ფიორენტინა“ კი „პარმას“ მასპინძლობს. ფლორენციელებმა პირველი ორი მატჩი წააგეს და ვითარება სასწრაფოდ თუ არ გამოასწორეს, ცუდად წაუვათ საქმე. „იებს“ მინუს 19 ქულა აქვთ გასაბათილებელი და მოგება ჰაერივით სჭირდებათ, თორემ სერია A-დან გავარდნის საფრთხე ნელ-ნელა რეალურზე რეალური ხდება. თუმცა სტეფანო პიოლის შეგირდები „არტემიო ფრანკიზე“ უბრძოლველად და მარტივად რომ არაფერს დათმობენ, ყველამ კარგად იცის.

„ამ სეზონში ჩვენი მიზანი სერია A-ში დარჩენაა და მჯერა, ამას შევძლებთ. მთავარია, მინდორზე კონცენტრირებულნი და შემართულები გავიდეთ ხოლმე. რასაკვირველია, სირთულეები იქნება, მაგრამ ისინი უნდა გადავლახოთ“ — აღნიშნა „ფიორენტინას“ მთავარმწვრთნელე ლუკა ტონიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. IV ტური

აეკ 3:0 ირაკლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| კერკერა | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ერგოტელისი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| პაოკ | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| აეკ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ლარისა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| იონიკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| არისი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ოფი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ეგალეო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| კალამარია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ატრომიტოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ქსანთი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |
| პანიონიოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |
| ირაკლისი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. VIII ტური

გენგამი 1:1 ბრესტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 8 | 6 | 1 | 1 | 11:3 | 19 |
| გრენობლი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:9 | 17 |
| კაენი | 8 | 4 | 4 | 0 | 13:7 | 16 |
| სტრასბური | 8 | 4 | 3 | 1 | 10:3 | 15 |
| შატორუ | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| რეიმსი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:5 | 13 |
| ლე ავრი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:10 | 13 |
| ბასტია | 8 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 11 |
| აიაჩო | 8 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 10 |
| ნიორი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| გენიონი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| დიჟონი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:9 | 10 |
| ისტრი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:13 | 9 |
| ლიბურნი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| ამიენი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 |
| ტურსი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| მონპელიე | 8 | 2 | 1 | 5 | 11:13 | 7 |
| გენგამი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:9 | 6 |
| ბრესტი | 8 | 0 | 4 | 4 | 6:12 | 4 |
| კრეტეი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:11 | 4 |

## ნორვეგია

ტიპელიგა. XX ტური

ლილესტრიომი 2:1 ვოლერენგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 20 | 12 | 4 | 4 | 34:22 | 40 |
| რუსენბორგი | 19 | 10 | 6 | 3 | 30:18 | 36 |
| ლილესტრიომი | 20 | 10 | 6 | 4 | 35:26 | 36 |
| სტარტი | 20 | 8 | 6 | 6 | 22:23 | 30 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 7 | 8 | 5 | 28:25 | 29 |
| ლინი | 20 | 8 | 5 | 7 | 26:25 | 29 |
| ვოლერენგა | 20 | 8 | 4 | 8 | 31:26 | 28 |
| სტაბეკი | 20 | 7 | 7 | 6 | 29:25 | 28 |
| ჰამ კამი | 20 | 6 | 4 | 10 | 30:30 | 22 |
| ფრედრიკსტადი | 20 | 5 | 7 | 8 | 28:36 | 22 |
| სანდეფიორდი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:38 | 22 |
| მიოლდე | 20 | 6 | 3 | 11 | 22:32 | 21 |
| ვიკინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:28 | 20 |
| ტრომსიო | 19 | 4 | 5 | 10 | 22:30 | 17 |

## შვედეთი

ალსვენსკა. XVIII ტური

კალმარი 3:0 იოსტერსი

იორგრიტე 3:2 გიოტებორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 18 | 10 | 6 | 2 | 34:17 | 36 |
| ელფსბორგი | 18 | 8 | 9 | 1 | 31:16 | 33 |
| გიოტებორგი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:19 | 30 |
| იურგორდენი | 18 | 8 | 6 | 4 | 22:15 | 30 |
| ჰამარბი | 18 | 9 | 3 | 6 | 29:25 | 30 |
| კალმარი | 18 | 9 | 2 | 7 | 26:19 | 29 |
| მალმიო | 18 | 8 | 4 | 6 | 30:25 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 6 | 7 | 5 | 27:23 | 25 |
| გეფლე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:26 | 23 |
| გაის | 18 | 5 | 6 | 7 | 19:24 | 21 |
| ჰალმსტადი | 18 | 4 | 7 | 7 | 14:22 | 19 |
| იორგრიტე | 18 | 3 | 5 | 10 | 19:31 | 14 |
| ჰეკენი | 18 | 2 | 6 | 10 | 18:32 | 12 |
| იოსტერსი | 18 | 2 | 4 | 12 | 12:36 | 10 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. IV ტური

ჰანზა 2:0 კაიზერსლაუტერნი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| ჰანზა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| დუისბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| კიოლნი | 4 | 3 | 0 | 1 | 13:5 | 9 |
| მიუნხენი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 8 |
| პადერბორნი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| კარლ ცაისი | 4 | 1 | 3 | 0 | 9:8 | 6 |
| კობლენცი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ლაუტერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ესენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| აუგსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| ფრაიბურგი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| აუე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| ბურგჰაუზენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| ბრაუნშვაიგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:6 | 2 |
| უნტერჰახინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| ოფენბახი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

## შვეიცარია

სუპერლიგა. VIII ტური

ლუცერნი 2:0 ბაზელი

შაფჰაუზენი 1:3 სიონი

იანგ ბოისი 1:3 გრასჰოპერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 6 | 1 | 1 | 19:8 | 19 |
| ციურიხი | 8 | 6 | 0 | 2 | 20:7 | 18 |
| გრასჰოპერი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:7 | 17 |
| სენტ გალენი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:12 | 14 |
| იანგ ბოისი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | 11 |
| ბაზელი | 8 | 3 | 1 | 4 | 16:15 | 10 |
| აარაუ | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| ლუცერნი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 |
| შაფჰაუზენი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:12 | 5 |
| თუნი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური

ბრაგა 0:1 ლეირია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ფერეირა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ნავალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბრაგა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლეირია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მარიტიმუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ავეში | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ნასიონალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |
| ამადორა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

VII ტური

ტეპლიცე 1:1 სპარტა

ბოლესლავი 2:0 კლადნო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლესლავი | 7 | 6 | 1 | 0 | 13:2 | 19 |
| ლიბერეცი | 7 | 6 | 1 | 0 | 11:0 | 19 |
| პლზენი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 12 |
| ბრნო | 7 | 3 | 3 | 1 | 4:2 | 12 |
| სპარტა | 7 | 3 | 3 | 1 | 6:5 | 12 |
| იაბლონეცი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:6 | 11 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 3 | 2 | 2 | 5:5 | 11 |
| ბანიკი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| სლავია | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ზლინი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| მოსტი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | 6 |
| ტეპლიცე | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | 6 |
| პრჟიბრამი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:8 | 5 |
| კლადნო | 7 | 1 | 2 | 4 | 3:10 | 5 |
| სლოვაცკო | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 4 |
| სიგმა | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | 4 |

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14, 877 54 55 00

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 3 | არსენალი-შეფილდი | 1.20 | 5.00 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.61 |
| 18:00 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ჩელსი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 18:00 | 8 | სიტი-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 10 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 18:00 | 11 | უიგანი-უოტფორდი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:15 | 12 | რედინგი-მანჩესტერი | 6.00 | 3.80 | 1.50 | 2.32 | 1.20 | 1.07 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 13 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 14 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 16 | პრესტონი-ბარნსლი | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 17 | ბარნლი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 18 | კრისტალ პალასი-ქოვენთრი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-სანდერლენდი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-ბირმინგემი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 21 | ლესტერი-კოლჩესტერი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 22 | ლუტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 23 | პლიმუთი-ნორვიჩი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 24 | ქპრ-ჰალი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 25 | უენსდი-დერბი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 26 | ვულვერჰემპტონი-სტოკი | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:15 | 27 | საუთენდი-კარდიფი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 98 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 99 | ბაიერნი-ალემანია | 1.15 | 6.20 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.38 |
| 17:30 | 101 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 17:30 | 105 | მაინცი-ჰერტა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.40 | 4.10 | 7.70 | 1.04 | 1.18 | 2.67 |
| 17:30 | 108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 109 | ბოხუმი-არმინია | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 176 | ატალანტა-ემპოლი | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 22:30 | 177. | კალიარი-ლივორნო | 2.10 | 3.00 | 3.55 | 1.23 | 1.31 | 1.62 |
| 22:30 | 178 | კიევო-ლაციო | 2.50 | 3.00 | 2.80 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 22:30 | 179 | ფიორენტინა-პარმა | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:30 | 180 | მესინა-რეჯინა | 1.85 | 3.10 | 4.35 | 1.15 | 1.29 | 1.81 |
| 22:30 | 181 | მილანი-ასკოლი | 1.15 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.25 |
| 22:30 | 182 | პალერმო-კატანია | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 22:30 | 183 | რომა-ინტერი | 2.50 | 3.00 | 2.80 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 22:30 | 184 | სამპდორია-უდინეზე | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 22:30 | 185 | ტორინო-სიენა | 1.95 | 3.00 | 4.10 | 1.18 | 1.32 | 1.73 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 207 | სპეცია-ვერონა | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 21:00 | 209 | ვიჩენცა-ჩეზენა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 243 | ბეტისი-რეალი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 239 | ატლეტიკო-სევილია | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 23:00 | 241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 245 | სელტა-ოსასუნა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:00 | 246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 22:00 | 247 | ტარაგონა-რასინგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 248 | ლევანტე-დეპორტივო | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:00 | 249 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 250 | სოსიედადი-უელვა | 1.90 | 3.20 | 3.95 | 1.19 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 393 | პეტრჟალკა-სინეცი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 22:00 | 394 | ბ.ბისტრიცა-ნიტრა | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:00 | 397 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 435 | ბრინი-კონგსვინგერი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 18:00 | 436 | ფოლო-ალესუნდი | 6.00 | 4.00 | 1.45 | 2.40 | 1.16 | 1.06 |
| 18:00 | 437 | ჰოდდი-მოსი | 2.20 | 3.60 | 2.70 | 1.36 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 438 | ჰონეფოსი-სოგნდალი | 2.30 | 3.60 | 2.50 | 1.40 | 1.19 | 1.47 |
| 18:00 | 439 | ლოვ ჰამი-სპარტა ს | 2.30 | 3.60 | 2.60 | 1.40 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 440 | მანგლერუდი-ტრომსდალენი | 2.35 | 3.60 | 2.50 | 1.42 | 1.21 | 1.47 |
| 20:00 | 441 | ბოდიო გლიმტი-ჰაუგესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 442 | სტრიომსგოდსეტი-პორს გრენლანდი | 1.25 | 5.50 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.48 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 445 | გაის-ჰალმსტადი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 446 | ჰეკენი-ელფსბორგი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 21:00 | 447 | ჰელსინგბორგი-გეფლე | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| 22:00 | 448 | იურგორდენი-აიკ | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 449 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 460 | ტრელებორგი-დეგერფორსი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 469 | ინტერი-მიუპა | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 491 | ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 517 | ბოტაფოგო-ჟუვენტუდი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 518 | ფიგეირენსე-ინტერნასიონალი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 519 | პარანა-ფორტალესა | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 23:45 | 520 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 521 | კორინთიანსი-ვასკუ და გამა | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 522 | სანტოსი-ფლუმინენსე | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 23:45 | 523 | სან კაეტანო-სან პაულუ | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 23:00 | 525 | გრემიო-პონტე პრეტა | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 524 | ფლამენგო-კრუზეირო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 526 | სანტა კრუსი-პალმეირასი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 549 | ჩესტერფილდი-სიტი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| 22:45 | 551 | დონკასტერი-დერბი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 552 | ფულემი-უიკომბი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 23:00 | 557 | მიდლსბრო-ნოტსი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:45 | 563 | სკანთორპი-ასტონ ვილა | 6.00 | 3.40 | 1.50 | 2.17 | 1.20 | 1.04 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 569 | ალოა-პარტსი | 9.50 | 5.50 | 1.20 | 3.48 | 1.06 | 1.00 |
| 22:45 | 571 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 9.00 | 3.80 | 1.35 | 2.67 | 1.17 | 1.00 |
| 22:45 | 572 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 22:45 | 575 | ქუინზ პარკი-მოზერუელი | 8.00 | 4.30 | 1.30 | 2.79 | 1.11 | 1.00 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 577 | ნუმანსია-ეხიდო | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 23:00 | 578 | ალკოიანო-ბენიდორმი | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 23:00 | 579 | ბადახოსი-ლინარესი | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 22:00 | 580 | ბადალონა-ფეროლი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 23:30 | 582 | კადისი-სპორტინგი | 1.80 | 3.10 | 3.90 | 1.13 | 1.23 | 1.72 |
| 22:30 | 583 | ეიბარი-აგილასი | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 23:00 | 584 | ელჩე-პონფერადინა | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 23:00 | 585 | ლუგო-რაიო ვალეკანო | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 23:00 | 586 | მალაგა-სიუდადი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 21:30 | 587 | პენა-ბარბასტრო | 3.80 | 3.00 | 1.90 | 1.67 | 1.26 | 1.16 |
| 23:00 | 588 | პორტუენსე-ფუენლაბრადა | 2.30 | 2.80 | 2.95 | 1.26 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 589 | პუერტოლანო-ლეიდა | 2.50 | 2.80 | 2.70 | 1.32 | 1.29 | 1.37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 590 | სალამანკა-ალმერია | 2.05 | 2.90 | 3.30 | 1.20 | 1.26 | 1.54 |
| 22:15 | 591 | სეგოვია-კარტაგენა | 3.00 | 2.80 | 2.30 | 1.44 | 1.30 | 1.26 |
| 23:45 | 592 | ტენერიფე-ალავესი | 2.50 | 2.80 | 2.65 | 1.32 | 1.28 | 1.36 |
| 23:45 | 593 | ვეცინდარიო-ჰერკულესი | 2.45 | 2.80 | 2.85 | 1.30 | 1.31 | 1.41 |
| 23:00 | 594 | სერესი-ალბასეტე | 1.95 | 3.00 | 3.65 | 1.18 | 1.27 | 1.64 |
| 23:00 | 595 | ლორკა-ვალიადოლიდი | 2.45 | 2.80 | 2.80 | 1.30 | 1.30 | 1.39 |
| 23:45 | 596 | მურსია-ლას პალმასი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 601 | ნანსი-ნიცა | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 22:00 | 602 | კრეტეი-ლანსი | 4.70 | 3.00 | 1.80 | 1.83 | 1.30 | 1.12 |
| 23:00 | 603 | ოსერი-სტრასბური | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:00 | 604 | პსჟ-ლორიანი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:00 | 605 | ტრუა-ლე მანი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:00 | 606 | სედანი-სოშო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:00 | 607 | ვალენსიენი-მონაკო | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 23:00 | 608 | მონპელიე-მარსელი | 5.20 | 3.20 | 1.60 | 1.98 | 1.22 | 1.06 |
| 23:00 | 609 | რენი-ლიბურნი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 23:00 | 610 | სეტე-სტ.ეტიენი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 616 | გრონინგენი-ოსი | 1.15 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.75 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 617 | ვეენდამი-ფეიენოორდი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:15 | 618 | ჰერენვენი-როდა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 22:00 | 619 | ვალვაიკი-დორდრეხტი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 621 | როსტოვი-ხიმკი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 16:00 | 622 | შინიკი-დინამო ბრ | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 16:00 | 623 | მორდოვია-ცსკა მ | 6.20 | 3.70 | 1.45 | 2.31 | 1.17 | 1.04 |
| 16:00 | 624 | ყუბანი-კრილია | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 16:00 | 625 | მოსკოვი-ტერეკი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 626 | ანჟუშტი-ამქარი | 6.00 | 3.80 | 1.45 | 2.32 | 1.16 | 1.04 |
| 16:00 | 627 | ანჟი-ლოკომოტივი | 5.20 | 3.50 | 1.55 | 2.09 | [illegible] | 1.07 |
| 12:00 | 628 | ენერგია-დინამო მახა | 1.15 | 6.00 | 12.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 16:00 | 629 | დინამო მ-სპარტაკი ნ.ნ. | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 16:00 | 630 | ტომსკი-დინამო კიროვი | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 16:00 | 631 | სპარტაკი მ-ურალი | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |
| 16:00 | 632 | სიბირი-ნალჩიკი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 16:00 | 633 | ზენიტი-ჩიტა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 14:30 | 634 | მეტალურგი კრ-სატურნი | 4.50 | 3.60 | 1.60 | 2.00 | 1.18 | 1.10 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:45 | 637 | ორჰუსი ფრ-მიდტიულანდი | 7.00 | 4.60 | 1.35 | 2.77 | 1.13 | 1.04 |
| 21:00 | 638 | ბრიონსჰოი-ბრიონდბიუ | 18.00 | 8.00 | 1.05 | 5.53 | 1.00 | 1.00 |
| 18:45 | 639 | ტისტედი-კოპენჰაგენი | 12.00 | 6.20 | 1.15 | 4.08 | 1.04 | 1.00 |
| 21:00 | 640 | აკადემისკი-სიონდერიისკე | 4.60 | 3.80 | 1.60 | 2.08 | 1.18 | 1.12 |
| 21:00 | 642 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 21:00 | 643 | სკიოლდი-კოლდინგი | 4.70 | 3.70 | 1.55 | 2.07 | 1.16 | 1.09 |
| 21:00 | 644 | ვეილე-ჰორსენსი | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 645 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 646 | როსენბორგი-სანდეფიორდი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 647 | ჰიკ-ლაჰტი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 813 | ვიტიაზი-მვდ | 1.95 | 4.10 | 2.30 | 1.32 | 1.05 | 1.47 |
| | | **იაპონიის თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 648 | იჩიჰარა-კავასაკი | 2.70 | 3.00 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |
| 14:00 | 649 | იოკოჰამა-კაშიმა | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 652 | ველესი-ლანუსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.90 | 2.20 | 6.50 | 1.01 | 1.47 | 1.64 |
| 10176 | ატალანტა-ემპოლი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10177 | კალიარი-ლივორნო | 2.60 | 1.90 | 3.80 | 1.09 | 1.54 | 1.26 |
| 10178 | კიევო-ლაციო | 2.90 | 1.90 | 3.30 | 1.14 | 1.54 | 1.20 |
| 10179 | ფიორენტინა-პარმა | 1.80 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.69 |
| 10180 | მესინა-რეჯინა | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10181 | მილანი-ასკოლი | 1.30 | 3.30 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 2.53 |
| 10182 | პალერმო-კატანია | 1.90 | 2.20 | 6.30 | 1.01 | 1.45 | 1.63 |
| 10183 | რომა-ინტერი | 3.00 | 1.90 | 3.20 | 1.16 | 1.54 | 1.19 |
| 10184 | სამპდორია-უდინეზე | 2.50 | 1.90 | 4.00 | 1.07 | 1.53 | 1.28 |
| 10185 | ტორინო-სიენა | 2.35 | 1.90 | 4.40 | 1.05 | 1.53 | 1.32 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11176 | ატალანტა-ემპოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11177 | კალიარი-ლივორნო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11178 | კიევო-ლაციო | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11179 | ფიორენტინა-პარმა | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11180 | მესინა-რეჯინა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11181 | მილანი-ასკოლი | 1.35 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11182 | პალერმო-კატანია | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11183 | რომა-ინტერი | 3.65 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 3.90 |
| 11184 | სამპდორია-უდინეზე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11185 | ტორინო-სიენა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12176 | ატალანტა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 12177 | კალიარი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12178 | კიევო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12179 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 12180 | მესინა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12181 | მილანი-ასკოლი | 2.20 | 1.50 |
| 12182 | პალერმო-კატანია | 1.90 | 1.70 |
| 12183 | რომა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12184 | სამპდორია-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12185 | ტორინო-სიენა | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13176 | ატალანტა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13177 | კალიარი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13178 | კიევო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13180 | მესინა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13181 | მილანი-ასკოლი | 2.00 | 1.60 |
| 13182 | პალერმო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13183 | რომა-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 13184 | სამპდორია-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13185 | ტორინო-სიენა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.30 | 2.50 |
| 14176, | ატალანტა-ემპოლი | 1.65 | 2.20 |
| 14177 | კალიარი-ლივორნო | 1.70 | 2.10 |
| 14178 | კიევო-ლაციო | 1.80 | 1.90 |
| 14179 | ფიორენტინა-პარმა | 1.30 | 2.50 |
| 14180 | მესინა-რეჯინა | 1.60 | 2.30 |
| 14182 | პალერმო-კატანია | 1.30 | 2.50 |
| 14183 | რომა-ინტერი | 1.80 | 1.90 |
| 14184 | სამპდორია-უდინეზე | 1.65 | 2.20 |
| 14185 | ტორინო-სიენა | 1.60 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ატალანტა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | კალიარი-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | კიევო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ფიორენტინა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | მესინა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | მილანი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | პალერმო-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | რომა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | სამპდორია-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ტორინო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.18 | 3.20 |
| 16176 | ატალანტა-ემპოლი | 1.35 | 2.55 |
| 16177 | კალიარი-ლივორნო | 1.50 | 2.10 |
| 16178 | კიევო-ლაციო | 1.60 | 1.90 |
| 16179 | ფიორენტინა-პარმა | 1.12 | 4.30 |
| 16180 | მესინა-რეჯინა | 1.40 | 2.40 |
| 16182 | პალერმო-კატანია | 1.15 | 4.00 |
| 16183 | რომა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 16184 | სამპდორია-უდინეზე | 1.50 | 2.15 |
| 16185 | ტორინო-სიენა | 1.30 | 2.70 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ატალანტა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | კალიარი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17178 | კიევო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ფიორენტინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17180 | მესინა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17181 | მილანი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | პალერმო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17183 | რომა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | სამპდორია-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ტორინო-სიენა | 1.85 | 1.95 |

ძიუდო

# სისხლი ტატამზე, სიხარული გულებში

ქართველი ძიუდოისტების პარიზულ ვაჟკაცობაზე ამ დღეებში ბევრი ითქვა და დაიწერა. ცოტა უხერხულია, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდიდან რომელიმე წევრი გამოარჩიო და განსაკუთრებულად შეაქო, მაგრამ ზაზა კედელაშვილი ამას ალალად იმსახურებს. ევროპის ჩემპიონმა ფრანგულ ტატამზე ოთხი ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. პირველსავე შეხვედრაში ზაზამ ისეთი ტრავმა მიიღო, კიმონო რომ გაეხადა და შეჯიბრისთვის ტრიბუნიდან ეცქირა, საყვედურს ვერავინ ეტყოდა. მან კი გუნდი არ დაალალატა, ამ სიტყვის პირდაპირიგაგებით, თავი გადადო და სამივე დარჩენილი ბრძოლა იპონით მოიგო. ახლა „კედელა" თბილისშია და გამოსაჯანმრთელებლად მშობლიურ კახეთში დასვენებას გეგმავს. გუშინ კი ინტერვიუსთვის რომ შევეხმიანეთ, რედაქციაში თვითონ გვესტუმრა



## ზაზა კედელაშვილმა პარიზული კედელი თავით გაანგრია

— ეს სეზონი ქართული ძიუდოსთვის ისტორიულია, პირადად ჩემთვის კი ყველა წინა სეზონზე ბევრად უკეთესი. ჯერ კიდევ წინაა მნიშვნელოვანი ტურნირები და უკვე იმდენი ბედნიერი წუთი მქონდა, ალბათ რამდენიმე სეზონს ეყოფა.

**— ყველაზე დასამახსოვრებელი ევროპული ოქრო და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა იყო. ამ ორ სიხარულს ხომ არ შეადარებდი ერთმანეთს?**

— პირველ ადგილზე ულაპარაკოდ გუნდურ წარმატებას დავაყენებ. ენით ვერ აღვწერ იმ ემოციებს, საფრანგეთში რომ განვიცადეთ. საოცარი განცდაა, როცა გუნდი გუნდზე ჭიდაობ. ნებისმიერ ბრძოლას უზარმაზარი მუხტი აქვს. პირად პირველობაზე ამხელა ნერვიულობა და სიხარული ან იმედგაცრუება ნამდვილად არ იგრძნობა. წარმოიდგინეთ, შვიდი კაცი ვჭიდაობდით და თითოეული ჩვენიანის ბრძოლაზე იმდენ ენერგიას ვხარჯავდით, შეიძლება, ტატამზე ყოფნით ნაკლებად დავღლილიყავით. თან მთელი ტურნირი ერთ დღეში ეტევა და დაძაბულობა ნელ-ნელა პიკს აღწევს. ნახევარფინალში კორეასთან გადამწყვეტი მეშვიდე შეხვედრა აღმოჩნდა. ფინალში ის ქვეყანა გადიოდა, რომლის მძიმეწონოსანიც იმარჯვებდა. ბიჭები ერთმანეთს ვაკავებდით, ტატამზე რომ არ შევვარდნილიყავით. ამ დროს ხანჯალიაშვილმა იპონით მოიგო და მთლად გაგვაგიჟა.

**— აეროპორტში თასი შენ გამოიტანე. ასე გუნდმა გადაწყვიტა?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. უცებ მე მომცეს თასი და წინ გამომატარეს. დახვედრის წუთები ისეთი იყო, დიდხანს არ დამავიწყდება.

**— საფრანგეთში წასვლამდე ძიუდოისტების და მწვრთნელის პროგნოზი მოკრძალებული იყო — გუნდი მედალს გეგმავდა. ოქროზე კი აქცენტი თითქმის არ კეთდებოდა. შენც იგივე აზრზე იყავი?**

— რა დასამალია და მეც ზოგადად მედალზე ვფიქრობდი. ბიჭები კი ვამბობდით, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდით, მაგრამ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის, იაპონიის ძალის გათვალისწინებით ოქროს პროგნოზის გაკეთება ძალიან სარისკო საქმე იყო.

**— კენჭისყრამ იაპონელები ფინალამდე აგვარიდა...**

— პარიზში გარდა იმისა, რომ კარგად ვიჭიდავეთ, იღბალიც ჩვენს მხარეს იყო. მარტო იაპონია კი არა, საფრანგეთი და რუსეთიც საპირისპირო ბადეში მოხვდნენ და წინასწარი გეგმაც მაშინვე შეიცვალა — აუცილებლად ფინალში უნდა გავსულიყავით. უკრაინასა და სამხრეთ კორეას ძლიერი ნაკრებები ჰყავთ, მაგრამ მათთან წაფორხილების უფლება არავითარ შემთხვევაში არ გვქონდა.

**— საპირისპირო ბადიდან ფინალში მეტოქედ რომელი გუნდი გერჩიათ?**

— მეოთხედფინალში საფრანგეთმა იაპონიას რომ მოუგო, მგონი, მათზე მეტად ჩვენ გაგვიხარდა. ნაკრები, რომელსაც ყველა მთავარ ფავორიტად თვლიდა, მოულოდნელად გავარდა. ცხადია, ჩემპიონობის შანსი ერთიორად გაიზარდა. მერე კი ფრანგებთან რუსებს ვუქომაგეთ, რადგან გადამწყვეტ ბრძოლაში მათთან დაპირისპირება გვერჩია. მოკლედ, ფინალში ის გავიდა, ვინც გვინდოდა.

**— უკრაინამდე და კორეამდე ეგვიპტესთან იჭიდავეთ და იქ მძიმე ტრავმა მიიღე.**

— ეგვიპტე ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ფიზიკურად უმაღლეს დონეზე იყვნენ მომზადებულები. ვახტანგ ხოსიტაშვილმა (60 კგ) ფრედ დაასრულა და მეც ისე დამიდგა მოწინააღმდეგე, კარგა ხანს ვერ წავაქციე. გადავწყვიტე, ცოტა მეეშმაკა და თავი მიმერტყა, რომ დამეშინებინა, მაგრამ ჩაფიქრებულზე ძლიერად მომივიდა და ისეთი ტრავმა მივიღე, კინაღამ გუნდი დავაღალატე. ვერც გავიგე, თავი გატეხილი რომ მქონდა. შემთხვევით შევნიშნე, ტატამზე სისხლი რომ წვეთავდა. მაშინვე შემიხვია ზურაბ კახაბრიშვილმა, მაგრამ უეცრად მთლიანად მოვეშვი, საოცარ სისუსტეს ვგრძნობდი. მაშინვე მივხვდი, რაღაც ისე ვერ იყო. გადახვეული თავიდან სისხლდენა კარგა ხანს ვერ შემიჩერეს და სანამ ეგვიპტელს მოვუგებდი, ტატამი სულ დავსვარე. შეხვედრის შემდეგ კი გული ისე მერეოდა, ტუალეტამდე ძლივს მივასწარი.

**— იყო საუბარი, რომ ჭიდაობა შეგეწყვიტა?**

— რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება არაფრით არ შემეძლო, სულ რომ მოვმკვდარიყავი. შემცვლელი არ მყავდა და ჩემს წონაში ავტომატურად წაგება ჩაგვეთვლებოდა. ზურა ყოველ ნახევარ საათში თავიდან მიკეთებდა გადახვევას და ყოველი ბრძოლის შემდეგ გული მერეოდა, ჭიდაობისას კი ინერციით ვმოძრაობდი. ხელებს და ფეხებს ნორმალურად ვერც ვაკონტროლებდი და ჩემიანების შეძახილებიც სხვანაირად მესმოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ყველა მითითებას კარგად ვითვალისწინებდი. სამივე დანარჩენი შეხვედრა სუფთად მოვიგე.

**— პირდაპირ ეთერში მარტო ფინალი ვნახეთ და შეხვეულ თავს თუ არ ჩავთვლით, არაფერზე გეტყობოდა, მძიმე ტრავმით რომ ჭიდაობდი.**

— ფინალის წინ შედარებით მეტი თავისუფალი დრო გვქონდა — დაახლოებით ერთი საათი. ცოტა დასვენებაც მოვასწარი და აზრზე მოსვლაც. მერე კი... ბიჭებიდან და ტრიბუნაზე მყოფი ქართველებისგან იმხელა მუხტი მოდიოდა, ყველაფერი დამავიწყა.

**— შენამდე რუსთან ნესტორ ხერგიანმა მოულოდნელად წააგო. ამან ცოტა ხომ არ დაგაფრთხო?**

— გეგმის მიხედვით, რუსეთი პატარა წონებში უნდა დაგვეჩაგრა. უეცრად ნესტორმა ვერ მოიგო და ცხადია, ნერვიულობამაც იმატა, მაგრამ ერთად დგომამ და სასწაულმა სულისკვეთებამ მაინც ჩვენი გაგვატანინა. პარიზში მცხოვრები ქართველებიც ხომ ისე გვქომაგობდნენ, ძალა გვიათმაგდებოდა. ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოვიგეთ და ჩემპიონობა გავინაღდეთ. აღარ ვიცოდით, ვინ რას აკეთებდა. ბოლო ორი წონის შეხვედრები საერთოდ არ მახსოვს.

**— პარიზში გამარჯვების მამაპაპურად აღნიშვნაც ხომ არ მოასწარით?**

— საღამოს იქაური ქართველები სასტუმროში მოვიდნენ. თან პურმარილიც მოიტანეს და კარგად აღნიშნეს ოქრო. მე კი ისე ცუდად ვიყავი, ადრიანადვე დავიძინე.

**— ახლა როგორ გაქვს თავი?**

— ახლაც მტკივა. რამდენიმე დღით წოლითი რეჟიმი დამინიშნეს, მაგრამ ჯერ ვერ ვასრულებ. ამ დღეებში კახეთში ვაპირებ წასვლას და იქ დავისვენებ. როგორც მითხრეს, ვარჯიშის განახლებას ერთ კვირაში შევძლებ. ასე რომ, ოქტომბერში, თბილისში ჩასატარებელი ევროპის საკლუბო ჩემპიონატისთვის მზად ვიქნები.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კალათბურთი

# ამერიკელებმა ცქიტიშვილის ზებგერები თბილისში დააფიქსირეს



ნიკა ცქიტიშვილი

**ცოტა უცნაურია,** მაგრამ ფაქტია: რამდენიმე კვირაა, ნიკა ცქიტიშვილი თავს სიეტლელად თვლის, ამ ამბის თაობაზე კი ამერიკულ პრესაში ახლაღა გაჩნდა პირველი ცნობა — ისიც ქართულ პრესაზე დაყრდნობით.

თავიდან მოვყვეთ: ცქიტიშვილმა საქართველოს ნაკრებში ჩამოსვლა იმიტომ დააგვიანა, რომ ნბა-ში კლუბს ეძებდა და, მისი თქმით, იპოვა კიდეც — „სიეტლ სუპერსონიკსი". ამის თაობაზე თითქმის ყველა ქართულმა სპორტულმა გაზეთმა დაწერა და ინფორმაციის წყარო თავად ცქიტიშვილი იყო.

საკვირველი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ამერიკულ პრესაში არათუ „სკიტა"-„სიეტლის" შეთანხმებაზე, არამედ ქართველი ფორვარდის „ზებგერეთებში" გადასვლის ალბათობაზეც კი არაფერი დაწერილა.

ახლა კი დაწერეს ამერიკელებმა — ცქიტიშვილმა სამშობლოში ყოფნისას პრესას განუცხადა, „სიეტლს" გავურიგდი და კონტრაქტის გაფორმება დროის ამბავიაო. ამერიკელები იქვე აკონკრეტებენ, ეს თავად კალათბურთელის სიტყვებია და ტრანსფერის განხორციელებაზე თავს ვერ დავდებთო.

ყველაფერს პასუხი უახლოეს დღეებში გაეცემა, როცა ცქიტიშვილი სიეტლში ჩავა და „ზებგერითების" ხელმძღვანელობას შეხვდება.

თითქმის ანალოგიურ სიტუაციაშია საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული უკანახაზელი ტაირონ ელისი, რომელიც, სანამ თბილისში ჩამოვიდოდა, „მინესოტაში" გასასინჯად იმყოფებოდა და ამ გუნდის ღირსება ლას ვეგასის კემპზეც დაიცვა. მაშინ ელისმა თქვა, მინესოტელებს მოვეწონე და დიდი შანსია, კონტრაქტიც დავიმსახუროო. მას შემდეგ „მგლები" ელისს დაუკავშირდნენ კიდეც და კონტრაქტის გაფორმებაზეც შეუთანხმდნენ. ეს ინფორმაცია თავად ელისმა გვამცნო, როცა საქართველოს ნაკრებს ფინეთში მიჰყვებოდა.

ელისი 21 სექტემბერს უნდა ჩავიდეს მინესოტაში და სამედიცინო შემოწმება გაიაროს, რის შემდეგაც — თუ, რა თქმა უნდა, ჯანსაღი აღმოჩნდა — ერთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





20-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი ქართველები ტიტულის შენარჩუნებას თემურ ბენდიაშვილის თაგკაცობით შეეცდებიან

# საქართველო ევროპას ჩემპიონობით იწყებს

**სანამ** ოქტომბერში საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი დაიწყება, მანამდე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ტურნირი 23 სექტემბერს დაიწყება და 1 ოქტომბერს დასრულდება. ევრორაგბობა პოლონეთის სამ ქალაქში გდანსკში, სოპოტში და ჟიუდაში გაიმართება. სულ 20 ევრონაკრები ითამაშებს. თუმც ტურნირის ორგანიზაციებმა და ევროპული რაგბის მთავარმა ოფისმა ფირა-აერმა 20 გუნდი დააზარისხა და რეიტინგის მიხედვით დააწინაურ-ჩამოაქვეითა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები, როგორც ევროპის მოქმედი ჩემპიონი, ელიტარულ ოთხ გუნდში მოხვდა. სწორედ ამ ოთხეულის საუკეთესო გახდება კონტინენტის ნაღდი ჩემპიონი, ქვემორე 16 გუნდი კი დაწინაურება-არდაქვეითებისთვის იბრძოლებს.

ელიტარებში ჩვენების გარდა არიან: რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი.

წინა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთში გაიმართა, ქართველები გამოცდილმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ აჩემპიონა, ახლა კი უმცროს ბორჯღალოსნებს თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცი და შინაურ რაგბიში ჭიპმოჭრილი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი უხელმძღვანელებს. ამ საქმეში თემურ ბენდიაშვილს ერთ დროს ბორჯღალოსნები სპირიდონ ლიპარტელიანი, შავლეგ ჯანელიძე და ნუგზარ მგელაძე შეეშველებიან.

პოლონეთში მწვრთნელებს 26-კაციანი რაზმი მიჰყავთ. საევროპო განაცხადში სამი ლეგიონერია: „ოდესის" 9-10 ნომერი და მექულე ლაშა მალაღურაძე, ფრანგული „ვანის" მორკინალი გალაქტიონ გაგნიძე და რუმინული „ფარულის" პირველხაზელი ლაშა თავართქილაძე.

ტურნირზე ქართველების მთავარი და მარადიული მეტოქე რუმინეთი იქნება. რუსეთის ნაკრებიც ძლიერია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ჩვენებს რუსები დიდ-პატარიანად მაგრად ჰყავთ დაბრიყვებული, არც პოლონეთში უნდა დაირღვეს ეს ტრადიცია. ტურნირი ერთ წრედ ჩატარდება და საუკეთესო შედეგის გუნდი კონტინენტის პირველნაკრებობას მოიპოვებს.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე

დავით ქუბრიაშვილი, დავით დაუშვილი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი მჭედლიშვილი, გურამ ქიზიყურაშვილი (ყველა ლელო), ბექა მეკოკიშვილი, გიორგი ლომსაძე, გიორგი ბეგაძე, გიორგი ჩაბრაძე (აკადემია), გიორგი სოსელია, ვილიამ კაიფაჯიანი (არმაზი), ბექა შეყლაშვილი, ლევან გენებაშვილი, ლევან დარასელია, ბექა კუპრეიშვილი (ხულიგანა), ზერო პეტრიაშვილი, ოთარ ტურაშვილი, გიორგი ნადარეიშვილი, ვეფხია ტუჩაშვილი (უნივერსიტეტი), მიხეილ არჩუაშვილი, ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე (ყოჩები), ლაშა მალაღურაძე (ოდესა), მამუკა ნინიძე (ელიტი), გალაქტიონ გაგნიძე (ვანი), ლაშა თავართქილაძე (ფარული)

### საქართველოს ნაკრების განრიგი

| A ჯგუფი | |
|---|---|
| ესპანეთი | 25 სექტემბერი |
| საქართველო | საქართველო — რუსეთი |
| რუმინეთი | 28 სექტემბერი |
| რუსეთი | საქართველო — ესპანეთი |
| | 1 ოქტომბერი |
| | საქართველო — რუმინეთი |

ავტორბოლა

# 5 000 000 ზიშტი თქვენ თურქეთის არასპორტული სპორტმა დასაჯა

**სეზონის** დასკვნით, სამ ევროპისგარე ეტაპამდე მეფორმულეებს სამკვირიანი იძულებითი შესვენება აქვთ. ეს იმის გამო მოხდა, რომ ზამთარში დამტკიცებულ კალენდარში ბელგიის დიდი პრიზი ფიგურირებდა, მაგრამ ორგანიზაციულ-ფინანსური პრობლემების მიზეზით „სპა-ფრანკორშამის" რბოლა გაუქმდა და 17 სექტემბერიც ცარიელ თარიღად დარჩა.

კარგია, რომ ეს მხოლოდ დროებითი ამბავია და უგრძეს, შვიდკილომეტრიან ტრასაზე „სამეფო მრბოლები" მომავალ წელს კვლავ გაიჯირითებენ.

აქვე იმაზეც ვიტყვით, რომ საგაისოდ სათუო „იმოლაც" იქნებ გადარჩეს. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ სან მარინოს ეტაპი 2007 წლის გრაფიკიდან კი ამოშალა, ოღონდ პირობით, ანუ თუ იტალიელები ავტოდრომის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს თავს მოაბამენ და მარტამდე ყველაფერს მოასწრებენ, იმოლაში რბოლას წინ აღარაფერი დაუდგება და 58-ე საფორმულო ჩემპიონატშიც 18 დიდი პრიზი გათამაშდება.

ენცო და დინო ფერარების სახელობის კომპლექსის მოდერნიზება ოთხ ოქტომბერს დაიწყება და ათი მილიონი ევრო ეღირება.

ავტოფედერაციის ხელმძღვანელობამ გუშინ პარიზში მსოფლიო საბჭოს სხდომაზე განიხილა 27 აგვისტოს თურქული ეტაპისას მომხდარი პოლიტიკური ინციდენტი. შეგახსენებთ, პოდიუმზე პრიზიორთა დაჯილდოებისას გამარჯვებულ ფელიპე მასას პრიზი გადასცა მეჰმეთ ალი თალათმა, რომელსაც თურქეთის ხელისუფლები „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკის" პრეზიდენტს უწოდებენ, ამ რესპუბლიკას კი მათ გარდა არავინ ცნობს. ავტობოსებმა რბოლის ორგანიზატორები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევისა და დაჯილდოების ტრადიციული წესიდან გადახვევისთვის ხუთი მილიონი დოლარით დააჯარიმეს. ეს ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე მძიმე სანქციაა.

**გია ახალაძე**

ოლიმპიზმი

# ლონდონის ოლიმპიადის სახე ტალახში ჩავარდა



კრისტი ოხურუოგუ

**ოლიმპიური** თამაშების სამასპინძლოდ თადარიგში მყოფი ქალაქები სარეკლამოდ „თამაშების სახეებს" ირჩევენ. 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ლონდონისთვის ასეთი სახე გახლდათ 22 წლის ბრიტანელი მორბენალი კრისტი ოხურუოგუ, რომელსაც დიდად პერსპექტიულ სპორტსმენად მიიჩნევდნენ, მაგრამ ამ გოგოს სახელი ტალახში ამოისვარა. ტალახი დოპინგი აღმოჩნდა, ოღონდ ეს ჩვეულებრივი დოპინგ-სკანდალი არ გახლავთ, რადგან კრისტი ოხურუოგუს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი არ აღმოუჩენიათ — უბრალოდ, ახალგაზრდა სპორტსმენი დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა.

არადა, კანონი კანონია და მეტად მკაცრი — იმ შემთხვევაში, თუ 18 თვის განმავლობაში სპორტსმენი ანტიდოპინგური სამსახურის მიწვევას სამჯერ არ იღებს ყურად, იგი ისევე ისჯება, როგორც აკრძალულ პრეპარატის მიღებაში მხილებული.

„გული მომიკლეს — ამბობს კრისტი — გარდა იმისა, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ვეღარასოდეს ვიოცნებებ, ფინანსურადაც ძალზე ვზარალდები. ახლა იმაზე უნდა ვიფიქრო, თუ რა გზას ვეწიო და საერთოდ ღირს თუ არა სპორტული კარიერის გაგრძელება."

საფიქრალი და თავსატეხი კი მართლაც დიდი გასჩენია, რადგან დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის წესები ასეთ სპორტსმენს ოლიმპიური თამაშებიდან სამუდამოდ რიყავს.

ახლა კრისტის გულშემატკივრები ტვინს იმაზე იჭყლეტენ, ამ გოგომ რატომ უარყო დოპინგ-ტესტზე მიწვევა, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის მძლეოსანთა ასოციაციის პრესსამსახური იუწყება, ოხურუოგუზე არავითარი სადოპინგო ეჭვი არ არსებობდა და იგი გეგმიურ შემოწმებაზე მიიწვიესო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 38-11-14, 877 54 55 00

# იან ჰომერის თასი ჰარდი. საპრიზო 10 000 $



ეკა გორგოძემ (მარჯვნივ) პირველ წრეში მარიამ ქურდაძე დაამარცხა

# ჰომერმა ბორჯომი დალია
## აი, ქართველი გოგო: გორგოძე

### პირველი წრე

ანა ლაპუშენკოვა (1, რუსეთი) — მანანა შაფაქიძე (საქართველო) 6:2 6:4; კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი) — ვიქტორია სემიროდენკო (უკრაინა) 6:7 (7:0) 6:3 6:2; ელინა ჰასანოვა (აზერბაიჯანი) — ტატიანა კოტელნიკოვა (რუსეთი) 3:6 6:3 6:3; ვასილისა დავიდოვა (5, რუსეთი) — სოფია ქვაცაბაია (საქართველო) 6:1 6:4; აგნესა შატმარი (4, რუმინეთი) — იულია კალაბინა (რუსეთი) 3:6 6:2 6:2; ეკატერინე გორგოძე (საქართველო) — მარიამ ქურთაძე (საქართველო) 6:2 6:4; ალექსანდრა მალიარჩიკოვა (ბელარუსი) — იანა ლევჩენკო (უკრაინა) 6:3 6:2; რია დერნემანი (6, გერმანია) — ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუსეთი) 4:6 6:1 6:2; კსენია პალკინა (7, ყირგიზეთი) — აუგუსტა ციბიჩევა (რუსეთი) 1:6 6:2 6:3; ამინა რახიმი (ყაზახეთი) — ელენა კულიკოვა (რუსეთი) 6:1 6:4; ვარვარა გალანინა (რუსეთი) — ლუდმილა ნიქოიანი (სომხეთი) 6:3 6:3; ევგენია გრებენიუკი (3, რუსეთი) — ნინო მებუკე (საქართველო) 6:3 6:3; ვოლჰა დუკო (ბელარუსი) — ეკატერინე დრანეტსი (8, რუსეთი) 7:6 (7:4) 6:0; სოფია შაფათავა (საქართველო) — თეონა ცერცვაძე (საქართველო) 6:2 6:2; მაია გავეროვა (რუსეთი) — ფარიდა კარაიევა (უკრაინა) 6:0 6:1; სტელა მენა (2, იტალია) — ნადეჟდა სამოილო (რუსეთი) 6:2 6:1

„ბორჯომის თასი" თუ უკვე ტრადიციული ტურნირია და წლეულს მეათედ ჩატარდა, „იან ჰომერის თასმა" ახლა აიდგა ფეხი. საქართველოში ჩოგბურთის შემომტანი იან ჰომერის თასი მისსავე სახელობის კორტებზე მიმდინარეობს, სადაც ორი დღის წინ ანალოგიური, 10-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდის მქონე „ბორჯომის თასი" დასრულდა.

საპრიზო ფონდი კი თანაბარი აქვთ, მაგრამ ამ ორ ტურნირს შორის გვარიანი განსხვავებაა. „ბორჯომის თასზე" პირველ ნომრად განთესილი მანანა შაფაქიძე „იან ჰომერზე" სულაც განუთესავი დარჩა, რადგან აქ შედარებით მაღალრეიტინგიანმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი. შედარებისთვის ამ ტურნირების პირველმეჩოგნეთა რეიტინგადგილები დავატოლოთ: „ბორჯომელი" შაფაქიძე მე-700-ეა, ხოლო „იან ჰომერის" მთავარგანთესილი, რუსი ანა ლაპუშენკოვა მსოფლიო კლასიფიკაციაში 397-ე ადგილზეა.

ბედის ირონიით, ეს ორი მეჩოგნე ერთმანეთს „იან ჰომერის" პირველივე წრეში დაეჯახა. ლაპუშენკოვამ საკმაოდ იოლად, 6:2 6:4 დაამარცხა ქართველთა ერთ-ერთი იმედი. ბარემ აქვე ვთქვათ ქართველთა რაზმის შესახებ, რომელიც წინამორბედ ტურნირთან შედარებით ცოტა ულიმღამოდ გამოიყურება.

საკვალიფიკაციო ეტაპიდან მივყვეთ, რომელშიც 12 ჩვენიანი მონაწილეობდა და აქედან მხოლოდ ორმა გააღწია ძირითად ბადეში — მარიამ ქურდაძემ გზად ჯერ სალომე ალადაშვილი ჩამოიცილა, შემდეგ კი მაგდა ოქრუაშვილიც დაამწუხრა. ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვედრილი მეორე ქართველი ნინო მებუკე გახლდათ, რომელმაც ჯერ დიანა დავითაიას სძლია, შემდეგ კი უკრაინელ ალისა ბუსლაევას.

ქურდაძემ და მებუკემ საკვალიფიკაციოში კი იყოჩაღეს, მაგრამ „იან ჰომერის თასისთვის" ბრძოლას პირველივე წრეში გამოეთიშნენ. მებუკემ ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილ რუს ევგენია გრებენიუკთან წააგო, ხოლო ქურდაძე თანამემამულე ეკა გორგოძესთან დამარცხდა, რომელიც, გემახსოვრებათ, „ბორჯომის თასის" ფინალისტია.

გორგოძესთან ერთად პირველი წრე წარმატებით დაძლია ერთმა ქართველმაც — სოფო შაფათავამ თეონა ცერცვაძეს მოუგო. როგორც ხედავთ, ორივე ქართველმა თანამემამულეებთან ბრძოლაში მოიპოვა მერვედფინალის საგზური. ამათ გარდა კიდევ სამი ჩვენიანი იყო ძირითად ბადეში. როგორც თავში გითხარით, შაფაქიძემ ლაპუშენკოვასთან წააგო, სოფო ქვაცაბაია აზერბაიჯანელ ელინა ჰასანოვასთან დამარცხდა, ხოლო მებუკეს გრებენიუკთან მარცხის ამბავიც უკვე მოგახსენეთ.

სხვაფრივ კი „იან ჰომერზე" გუშინ სიმშვიდე იყო. სენსაცია თითქმის არ მომხდარა. განთესილთაგან მხოლოდ ერთი გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას — ტურნირის მე-8 ნომერმა, რუსმა ეკატერინე დრანეტსმა ბელარუს ვოლჰა დუკოსთან წააგო. დუკომ რუსი პირველ სეტში გატეხა, როცა ტაიბრეიკში იმარჯვა, მეორეში კი 6:0 გაილალა.

მეორე წრეში სწორედ დუკოს შეხვდება სოფო შაფათავა, ხოლო გორგოძის მეტოქე რუმინელი აგნეს ჟატმარი იქნება. რუმინელმა პირველ წრეში რუს იულია კალაბინას სამ სეტში მოუგო — 3:6 6:2 6:2.

მერვედფინალში გააღწიეს „იან ჰომერის" ორადორმა დასავლეთევროპელმაც — იტალიელმა სტელა მენამ და გერმანელმა რია დერნემანმა. პირველმა რუსი ნადეჟდა სამოილო დაამწუხრა (6:2 6:1), ხოლო მეორემ ნადეჟდას თანამემამულე ელზა ტოჩილოვსკაიას მოუგო.

**ირაკლი პერტაია**

# ჩინეთში სუნი დატრიალდა

| ქალები<br>პეკინი. ჩინეთი. ჰარდი<br>საპრიზო 600 000 $ |
|---|

### პირველი წრე

ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 6:4 1:6 6:2; ში ჟენგი (ჩინეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4 6:3; ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:4 6:1; მარია კირილენკო (8, რუსეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 7:6 6:3; ელენა იანკოვიჩი (6, სერბეთი) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:0 6:1; შუაი პენგი (ჩინეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 4:6 7:5 6:3; აი სუგიამა (იაპონია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2 7:6; ნა ლი (7, ჩინეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:3 6:4; ელენა ვესნინა (რუსეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 7:6 5:7 6:3; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ჟი იანი (ჩინეთი) 7:5 6:2

| ქალები<br>კალკუტა. ინდოეთი. ჰარდი<br>საპრიზო 175 000 $ |
|---|

### პირველი წრე

მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მელინდა ჟინკი (უნგრეთი) 6:1 6:2; ციპორა ობზილერი (ისრაელი) — იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 6:2 6:3; აბიგაილ სპირსი (აშშ) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:3 6:4; ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — კაია კანეპი (6, ესტონეთი) 6:7 7:5 6:0; არავანე რეზაი (4, საფრანგეთი) — ანკიტა ბჰამბრი (ინდოეთი) 6:2 7:6; ტატიანა პოუტჩეკი (ბელორუსია) — ენ კეოტავონგი (ბრიტანეთი) 6:2 6:7 6:3; ალბერტა ბრიანტი (იტალია) — იულიანა ფედაკი (3, უკრაინა) 6:4 6:2

**საუკეთესო** ქალთა ნაკრების გარკვევის შემდეგ ჯერი კაცებზე მიდგა. თუმც დევისის თასზე ჯერჯერობით ფინალური წყვილი არ გარკვეულა. ამიტომაც დამდეგ უქმეებზე მოსკოვსა და ბუენოს აირესში დიდი ჯახებიც შედგება. ამის გამოა საჩოგბურთო სამყაროს კაცთა ნახევარი ან გამალებით რომ ემზადება ამ ბატალიებისთვის, ან ისვენებს. სამაგიეროდ, ქალები გავიდნენ კორტზე და ამ კვირის განმავლობაში აზიაში გაარკვევენ ურთიერთობებს.



მარტინა ჰინგისი

ყველაზე საინტერესო და წარმომადგენლობითი ტურნირი ჩინეთის დედაქალაქში დაიწყო, სადაც საპრიზოც სოლიდურია და შემადგენლობაც საკმარისად ვარსკვლავური, ამიტომაც ჩვენც იქიდან დავიწყოთ.

პირველ რიგში მასპინძელთა წარმატებები უნდა აღინიშნოს, რომლებიც კარგად იყენებენ ტრიბუნების მხარდაჭერას და წინ თითქმის დაუბრკოლებლად მიიწევენ. მხოლოდ ჟი იანი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული, თორემ დანარჩენები არც მეტოქის ავტორიტეტს დაგიდევენ.

მაგალითისთვის ტიან ტიან სუნიც კმარა, რომელმაც ბოლო თვეებში მშვენივრად მოთამაშე ვერა ზვონარიოვას გამოუყვანა წირვა. რუსი ბოლო ხანებში მართლაც ჩაუქობდა და ამიტომაც რეიტინგში ლამის სამოცი საფეხურითაც წაიწია წინ, მაგრამ რა... პეკინიდან აბარგება ლამის ჩასვლისთანავე მოუწევს, იმიტომ, რომ მშობლიურ ჰარდზე სუნისნაირი საშუალოზე დაბალი დონის მეჩოგნესაც შეუძლია ბოლომდე ბრძოლა.

თუ სუნმა ასეთი ამბები დაატრიალა, მას თავისთავად არ ჩამორჩებოდა ჩინელთა პირველი ნომერი და ტურნირის მოგების ალბათ ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი ნა ლი. მასპინძელი არცთუ გულუხვად დაუხვდა კიდევ ერთ რუს ვერა დუშევინას და საათზე ოდნავ მეტი მოანდომა მის რბევას.

სამაგიეროდ, სულ გადიაირია ახლად ჩაღეული აშშ-ს ღია პირველობის უმთავრესი სენსაცია ელენა იანკოვიჩი. ნიუ იორკში თავგამოჩენილი 21 წლის სერბისგან ახლა უკვე მძლავრი ჩოგბურთის ჩვენებას ელიან და ბალკანელმაც პეკინში დებიუტი კორტზე ფრენით აღნიშნა. სერბს ესპანელი ლინო უსასტიკესად შემოეჩოგნა და საცოდავ პირინეელს კინკილა გეიმი თუ დაუთმო.

„პირველი თამაში, ახალ ჰავასთან ან კორტთან შეგუება ყოველთვის ძნელია, ამიტომაც საკუთარმა თამაშმა ფრიად მომხიბლა" — ხარობდა იანკოვიჩი.

შედარებით მოკრძლალებული ტურნირი დაიწყო ინდურ კალკუტაში. ამ შეჯიბრს ალბათ არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ არა მარტინა ჰინგისი. შვეიცარიელის ყურადღების მიღმა დატოვება ნამდვილად არ ეგების. პირველი შეხვედრაში კი მარტინამ მშვენივრად იქნია ჩოგანი და მეორე წრესაც უპრობლემოდ უწია.

**კახა ლომჯაშვილი**



თბილისში ბოლო ათ დღეში განვითარებულმა საჩოგბურთო მოვლენებმა პირველი შედეგი უკვე მოიტანა. ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე ამ პერიოდში უპრეცენდენტოდ ბევრი ბავშვი მიუყვანიათ მშობლებს სავარჯიშოდ. გუშინ დამწყებ ჩოგბურთელებს კომპანია „ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი დავით ლანჩავა შეხვდა და „ბაბოლატის" ფირმის ახალი ჩოგნებით და ბურთებით დაასაჩუქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ინდიანაპოლისიდან

## ცოტა დააკლდა

ამ გაწელილი კაცის ხელობას ამერიკულ ბურთაობაში ფართო მიმღები ჰქვია. მან შორეული პასი რბენისას უნდა მიიღოს, მეტოქეებს გაუსწროს და თუ საჭიროა, ამგვარ ფრენია ნახტომში გავიდეს იქეთ. ეჰ, ამ ჯერზე ინდიანაპოლისელ რეჯი ვეინს სულ ცოტა დააკლდა. კი გაფრინდა, მაგრამ...



AFP სან პაულოდან

## ოდრის ცხვირი

სან პაულუში კვლავაც გრძელდება ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში: ეს ცხვირგატეხილი გოგო ფრანგი ოდრი სურე-გჟილესპია, ვისაც ტრავმა რუს გოგოებთან ბრძოლაში მიუღია.



AFP ედმონტონიდან

## ქალთა მეფენი

ქალთა სარაგბო მსოფლიოს თასი კანადაში, ედმონტონში მიმდინარეობდა. ფინალში ერთმანეთს ახალზელანდიელები და ინგლისელები შეხვდნენ. ცოტა არ იყოს და ვერ არის საქალებო თამაში, მაგრამ მონდომებას სად წაუხვალ. სამხრეთელებმა 25:17 მოიგეს.

## მფრინავი თევზები

სინქრონული ცურვის თავისუფალი კომბინაციის შეჯიბრი ამგვარი ფოტოების გადაღების საშუალებას იძლევა. იოკოჰამაში მსოფლიოს თასი თამაშდებოდა და ამ მასპინძელმა გოგონებმა ვერცხლი ირგუნეს.



AFP იოკოჰამიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge